საქართველოს კანონი

შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ
თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი და რეგულირების სფერო

1. ამ კანონის მიზანია, ხელი შეუწყოს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლების განხორციელებას და ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინებას შვილად აყვანისას და მინდობით აღზრდისას.

2. ეს კანონი ადგენს შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის წესებსა და პირობებს, აწესრიგებს ურთიერთობებს, რომლებიც შვილად აყვანისას/მინდობით აღზრდისას წარმოიშობა სახელმწიფოსა და მშვილებელს/მინდობით აღმზრდელს შორის, აგრეთვე განსაზღვრავს წარმოშობის სახელმწიფოსა და მიმღებ სახელმწიფოს შორის ურთიერთობებს.

3. ეს კანონი გამოიყენება:

ა) საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირის მიმართ, რომელსაც სურს საქართველოში ან/და უცხო ქვეყნიდან ბავშვის შვილად აყვანა;

ბ) უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები პირის მიმართ, რომელსაც სურს საქართველოდან ბავშვის შვილად აყვანა;

გ) საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირის მიმართ, რომელსაც სურს საქართველოში ბავშვის მინდობით აღზრდა;

დ) საქართველოში ან უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები ბავშვის მიმართ, რომელიც ექვემდებარება შვილად აყვანას;

ე) საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირის მიმართ, რომელიც ექვემდებარება მინდობით აღზრდას.

მუხლი 2. შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სამართლებრივი საფუძვლები

შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები (მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“ და კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და ბავშვთა საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ (შემდგომ – ჰააგის კონვენცია)), საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, ეს კანონი და სხვა სამართლებრივი აქტები.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბავშვი – 18 წლამდე ასაკის პირი;

ბ) შვილად აყვანა – კანონით დადგენილი წესით მშვილებელსა და შვილად აყვანილ ბავშვს (ნაშვილებს) შორის წარმოშობილი ისეთივე ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და შვილს შორის;

გ) გასაშვილებელი ბავშვი – პირი, რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს

გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი და რომელიც რეგისტრირებულია გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ერთიან რეესტრში;

დ) განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვი – შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის ან ჯანმრთელობის პრობლემების ან/და ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვი, რომელსაც სპეციფიკური ზრუნვა ესაჭიროება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით;

ე) გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ერთიანი რეესტრი (შემდგომ – რეესტრი) – გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა შესახებ მონაცემების სისტემატიზებული ერთობლიობა;

ვ) მშვილებელი (მშვილებლები) – პირი (პირები), რომელიც (რომლებიც) აკმაყოფილებს (აკმაყოფილებენ) გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და რეგისტრირებულია (რეგისტრირებული არიან) რეესტრში;

ზ) გასაშვილებელი ბავშვის ნათესავი – პირი ან მისი მეუღლე, რომლისთვისაც გასაშვილებელი ბავშვი არის და, ძმა, გერი და, გერი ძმა, შვილიშვილი, დისშვილი, ძმისშვილი, გერი დის შვილი, გერი ძმის შვილი, დეიდა, მამიდა, ბიძა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი ან რომელიმე მათგანის შვილი;

თ) საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირი – პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოში, არ არის უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები პირი და არის საქართველოს მოქალაქე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელზედაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემულია საქართველოში მუდმივი ბინადრობის მოწმობა;

ი) უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები პირი – პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს უცხო ქვეყანაში და არ არის საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირი;

კ) მიმღები სახელმწიფო – სახელმწიფო, რომელშიც შვილად აჰყავთ წარმოშობის სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები გასაშვილებელი ბავშვი;

ლ) წარმოშობის სახელმწიფო – სახელმწიფო, რომელში მუდმივად მცხოვრები გასაშვილებელი ბავშვიც შვილად აჰყავთ მიმღებ სახელმწიფოში;

მ) კომპეტენტური ორგანო – საერთაშორისო შვილად აყვანის ურთიერთობებში უფლებამოსილების მქონე უცხო ქვეყნის ცენტრალური ორგანო, აკრედიტებული ორგანო ან/და სხვა უფლებამოსილი ორგანო;

ნ) მინდობით აღზრდა – სახელმწიფო ზრუნვის ფორმა, რომელიც მიახლოებულია ოჯახურ ზრუნვასთან, მიზნად ისახავს მინდობით აღსაზრდელის მოვლასა და აღზრდას და ხორციელდება სახელმწიფოსა და მინდობით აღმზრდელს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე;

ო) ნათესაური მინდობით აღზრდა – ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მისი ამ მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთან განთავსება;

პ) გადაუდებელი მინდობით აღზრდა – მინისტრის მიერ დადგენილი წესით, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა და გადაუდებელი საჭიროების გათვალისწინებით მინდობით აღსაზრდელის მინდობით აღმზრდელთან განთავსება;

ჟ) ჩამნაცვლებელი მინდობით აღზრდა – მინდობით აღზრდის ფორმა, რომელიც ითვალისწინებს მინდობით აღზრდის მიზნით განთავსებული ბავშვის დროებით სხვა მინდობით აღმზრდელთან განთავსებას;

რ) სპეციალიზებული მინდობით აღმზრდელი – პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია მინდობით აღმზრდელად და გადამზადებულია განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვის მოვლისა და ზრუნვის საკითხებში;

ს) მინდობით აღმზრდელი – დედობილი/მამობილი, რომელსაც მინდობით აღსაზრდელად გადაეცა ამ კანონის 70-ე მუხლით განსაზღვრული პირი;

ტ) მინდობით აღსაზრდელი – სახელმწიფოსა და მინდობით აღმზრდელს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მინდობით აღმზრდელისთვის მინდობით აღსაზრდელად გადაცემული პირი;

უ) მინდობით აღსაზრდელთა და მინდობით აღმზრდელთა მონაცემთა ბაზა (შემდგომ – მონაცემთა ბაზა) – მინდობით აღზრდას დაქვემდებარებული პირის, მინდობით აღსაზრდელისა და მინდობით აღმზრდელის შესახებ მონაცემების სისტემატიზებული ერთობლიობა;

ფ) ობოლი – ბავშვი, რომელსაც არცერთი მშობელი არ ჰყავს;

ქ) ნაპოვნი ბავშვი – 18 წლამდე ასაკის უცნობი პირი მისი აღმოჩენიდან ვინაობის დადგენამდე;

ღ) მშობლის ვინაობის დადგენა – მშობლის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის მოპოვება;

ყ) მიტოვებული ბავშვი – 18 წლამდე ასაკის პირი, რომელიც ამ კანონის შესაბამისად სასამართლომ მიტოვებულად აღიარა;

შ) პრევენცია – ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში შენარჩუნება;

ჩ) რეინტეგრაცია – სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსებული ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში ან მეურვესთან/მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნება;

ც) სამინისტრო – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ძ) მინისტრი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;

წ) სააგენტო – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც არის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, აგრეთვე საერთაშორისო შვილად აყვანის ურთიერთობებში – ცენტრალური ორგანო, ხოლო მისი ტერიტორიული ერთეული – მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო საქართველოს ტერიტორიაზე;

ჭ) სოციალური მუშაკი – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირი;

ხ) შვილად აყვანის კომისია – ცენტრალური აპარატის სათათბირო სტრუქტურა, რომელიც წარმართავს საერთაშორისო შვილად აყვანის პროცესს. მისი მუშაობის წესი და პირობები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით;

ჯ) ბავშვის საუკეთესო ინტერესები – პრინციპი, რომელიც აღიარებს ბავშვის ინტერესების უპირატესობას ყველა სხვა სუბიექტის ინტერესებზე და მოიცავს ბავშვის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და განვითარების შესაძლებლობებს, რომლებიც მისი ინდივიდუალური მახასიათებლებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განისაზღვრება.

მუხლი 4. ბავშვის საუკეთესო ინტერესები და ბავშვზე მზრუნველობის უპირატესი ფორმები

1. ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა ემსახურება მისი საუკეთესო ინტერესების დაცვას.

2. ბავშვის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის თაობაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ემსახურებოდეს მისთვის ისეთი სტაბილური ოჯახური გარემოს შექმნას, რომელიც ეფუძნება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, აღემატება მინდობით აღზრდის მიზნით გადაცემისათვის სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებს და რომელშიც ბავშვს ექნება იმაზე უკეთესი პირობები და განვითარების შესაძლებლობები, რომლებიც შვილად აყვანამდე ან მინდობით აღზრდამდე ჰქონდა.

3. ბავშვზე მზრუნველობის უპირატესი ფორმებია: ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში აღზრდა, მეურვეობა/

მზრუნველობა, შვილად აყვანა და მინდობით აღზრდა.

4. დაუშვებელია დედმამიშვილების დაშორება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეესაბამება მათ საუკეთესო ინტერესებს.

მუხლი 5. შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის პროცედურების განმახორციელებელი უფლებამოსილი ორგანოები

1. შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის პროცედურების განმახორციელებელი უფლებამოსილი ორგანოა სააგენტო.

2. შვილად აყვანის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სასამართლო.

3. უფლებამოსილი ორგანოების გარდა, ყველა სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირს ეკრძალება ნებისმიერი ქმედება, მათ შორის, წინასწარი საქმიანობა ან გარიგება კონკრეტული ბავშვის ბიოლოგიურ მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს და ფიზიკურ პირს ან/და იურიდიულ პირს შორის, აგრეთვე ასეთი საქმიანობისთვის ან გარიგებისთვის ხელის შეწყობა, რომლის მიზანია შვილად აყვანა. ამასთანავე, შვილად აყვანის დროს დასაშვებია ადვოკატის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იურიდიული მომსახურების გაწევა, ხოლო საერთაშორისო შვილად აყვანის დროს – კომპეტენტური ორგანოს მიერ მომსახურების გაწევა.

მუხლი 6. სააგენტოს უფლებამოსილებანი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სფეროში

1. სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს:

ა) შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა და ბავშვის უფლებების დაცვა;

ბ) მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის კოორდინირება;

გ) შვილად აყვანასთან დაკავშირებული რეესტრის წარმოება, სისტემატიზება და დამუშავება;

დ) მინდობით აღზრდასთან დაკავშირებული რეესტრის წარმოება, სისტემატიზება და დამუშავება;

ე) საერთაშორისო შვილად აყვანის პროცედურები;

ვ) შვილად აყვანასთან დაკავშირებული ინფორმაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შენახვა და გაცემა;

ზ) მინდობით აღზრდის ანაზღაურების ადმინისტრირება;

თ) შვილად აყვანის მსურველი პირისთვის/მინდობით აღზრდის მსურველი პირისთვის სავალდებულო მოსამზადებელი კურსის ორგანიზება;

ი) შვილად აყვანის მსურველი პირის/მინდობით აღზრდის მსურველი პირის სერტიფიცირება სავალდებულო მოსამზადებელი კურსის გავლის საფუძველზე;

კ) საერთაშორისო შვილად აყვანის შემთხვევაში საერთაშორისო შვილად აყვანის შემდგომი ანგარიშების მომზადება;

ლ) შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სფეროში ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის ოდენობა, მისი გადახდის, გადახდილი საფასურის დაბრუნებისა და საფასურის გადახდისაგან განთავისუფლების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 7. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს უფლებამოსილება შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სფეროში

1. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულია მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო თავის სამოქმედო ტერიტორიაზე.

2. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო უზრუნველყოფს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ბავშვის უფლებების დაცვას;

ბ) შვილად აყვანის/მინდობით აღზრდის პროცედურის განხორციელების ყველა ეტაპზე გასაშვილებელი ბავშვის/მინდობით აღსაზრდელის წარმომადგენლობას;

გ) ბავშვის გაშვილების მსურველი პირისთვის და ბავშვის მიტოვების მსურველი პირისთვის კონსულტაციის გაწევას;

დ) შვილად აყვანის მსურველი პირისთვის შვილად აყვანის შესახებ კონსულტაციის გაწევას, რაც დასტურდება სპეციალური ფორმით, რომელსაც სააგენტოს დირექტორი ბრძანებით ამტკიცებს;

ე) ბავშვისთვის საჭირო კონსულტაციის გაწევას მისი ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით;

ვ) შვილად აყვანის მსურველი პირის (პირების) განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტების მიღებას;

ზ) ამ კანონით დადგენილი წესით პირისათვის გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მინიჭებას;

თ) შვილად აყვანის მსურველი პირის (პირების) ოჯახის და გასაშვილებელი ბავშვის შეფასებას;

ი) შვილად აყვანის მსურველი პირის (პირების) რეგისტრაციას;

კ) შვილად აყვანის პროცესის განხორციელებას;

ლ) შვილად აყვანის შესახებ სასამართლო საქმის წარმოების პროცესში მონაწილეობას;

მ) შვილად აყვანის შემდეგ მშვილებლისთვის (მშვილებლებისთვის) დახმარების გაწევას, მათ შორის, ახალ გარემოში ბავშვის ფსიქოსოციალური ადაპტაციისთვის;

ნ) მინდობით აღზრდის მსურველი პირისა და მინდობით აღსაზრდელის შეფასებას;

ო) მინდობით აღზრდის მსურველი პირისა და მინდობით აღსაზრდელის რეგისტრაციას;

პ) მინდობით აღზრდას დაქვემდებარებული პირის, მინდობით აღზრდის მსურველი პირის, მინდობით აღსაზრდელისა და მინდობით აღმზრდელის რეგისტრაციას და აღნიშნულ პირთა შესახებ ინფორმაციის სისტემატიზებას;

ჟ) მინდობით აღზრდის მსურველი პირისა და მინდობით აღსაზრდელის თავსებადობის შეფასებას;

რ) მინდობით აღზრდას დაქვემდებარებული პირის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავებას და ამ გეგმის განხორციელების მონიტორინგს;

ს) მინდობით აღსაზრდელის საცხოვრებელი პირობების, აღზრდა-განვითარების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის ზედამხედველობას, აგრეთვე მინდობით აღმზრდელის მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულების ზედამხედველობას, ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავებას და ამ გეგმის განხორციელების მონიტორინგს;

ტ) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, მინდობით აღზრდის საკითხებზე კონსულტაციების გამართვას;

უ) ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელებას.

3. მხოლოდ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოა უფლებამოსილი, მიიღოს ბიოლოგიური მშობლის (ბიოლოგიური მშობლების) თანხმობა ბავშვის გაშვილებასა და ბავშვის მიტოვებაზე.

4. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საქმიანობის წესს ამტკიცებს მინისტრი.

თავი II

შვილად აყვანის ძირითადი პირობები

მუხლი 8. შვილად აყვანა პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

1. საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირს შეუძლია შვილად აიყვანოს ბავშვი როგორც საქართველოში, ისე უცხო ქვეყანაში.

2. უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებ პირს შეუძლია ამ კანონით დადგენილი წესით შვილად აიყვანოს საქართველოში მუდმივად მცხოვრები ბავშვი.

3. თუ საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირი, რომელიც რეგისტრირებულია მშვილებლად უცხო ქვეყნიდან ბავშვის შვილად ასაყვანად, გასაშვილებელი ბავშვის შეთავაზების მომენტისთვის გახდა მესამე სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები პირი, საერთაშორისო შვილად აყვანის საკითხი წყდება საქართველოს, იმ სახელმწიფოს, რომელშიც ბავშვი მუდმივად ცხოვრობს, და მესამე სახელმწიფოს შორის შეთანხმებით.

4. თუ საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირი, რომელიც რეგისტრირებულია მშვილებლად საქართველოში ბავშვის შვილად ასაყვანად, გასაშვილებელი ბავშვის შეთავაზების მომენტისთვის გახდა სხვა სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები პირი, შვილად აყვანის საკითხი წყდება საერთაშორისო შვილად აყვანისთვის დადგენილი წესით (ჰააგის კონვენციის გამოყენებით) ან/და საქართველოსა და იმ სახელმწიფოს შორის შეთანხმებით, რომელში მუდმივად მცხოვრები პირიც გახდა მშვილებელი.

5. თუ უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები პირი, რომელიც რეგისტრირებულია მშვილებლად საქართველოში ბავშვის შვილად ასაყვანად, გასაშვილებელი ბავშვის შეთავაზების მომენტისთვის გახდა მესამე სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები პირი, შვილად აყვანის საკითხი წყდება საერთაშორისო შვილად აყვანისთვის დადგენილი წესით და საქართველოს, იმ სახელმწიფოს, რომელშიც მშვილებელი მუდმივად ცხოვრობდა, და მესამე სახელმწიფოს შორის შეთანხმებით.

6. თუ უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები პირი, რომელიც რეგისტრირებულია მშვილებლად საქართველოში ბავშვის შვილად ასაყვანად, გასაშვილებელი ბავშვის შეთავაზების მომენტისთვის გახდა საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირი, შვილად აყვანის საკითხი წყდება საქართველოში შვილად აყვანისთვის დადგენილი წესით და საქართველოსა და იმ სახელმწიფოს შორის შეთანხმებით, რომელშიც მშვილებელი მუდმივად ცხოვრობდა.

მუხლი 9. გასაშვილებელი ბავშვი

1. შვილად აყვანას ექვემდებარება ბავშვი, რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი და რომელიც რეგისტრირებულია რეესტრში.

2. გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი ენიჭება ბავშვს:

ა) რომლის მშობელი (მშობლები) სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა;

ბ) რომელიც არის ობოლი;

გ) რომელიც სასამართლომ მიტოვებულად აღიარა;

დ) რომლის მშობელს (მშობლებს) სასამართლომ ჩამოართვა მშობლის უფლება;

ე) რომლის ყველა კანონიერი წარმომადგენელი აცხადებს თანხმობას მის გაშვილებაზე მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

3. ბავშვს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი ენიჭება მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს გადაწყვეტილებით, რომლის საფუძველზედაც გასაშვილებელი ბავშვი რეგისტრირდება რეესტრში.

მუხლი 10. გასაშვილებელი ბავშვის გამოვლენა და აღრიცხვა

1. სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულების (მიუხედავად მისი სამართლებრივი ფორმისა) ადმინისტრაცია, ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია ნაპოვნი ბავშვის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს სააგენტოს.

2. სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულების (მიუხედავად მისი სამართლებრივი ფორმისა ან/და მისი დაქვემდებარებისა) ადმინისტრაცია ვალდებულია სააგენტოსთვის ბავშვის შესახებ მიწოდებული ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, ან/და სააგენტოს მოთხოვნით, წარუდგინოს მას აღნიშნულ დაწესებულებაში მყოფი ბავშვის შესახებ არსებული ინფორმაცია.

3. ბავშვი რეესტრში აღრიცხვიდან მოიხსნება მხოლოდ შვილად აყვანის, გარდაცვალების, გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის შეცვლის ან სრულწლოვანების მიღწევის შემთხვევაში.

4. გასაშვილებელ ბავშვთა აღრიცხვის წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 11. სამედიცინო დაწესებულებაში ჩვილის იდენტიფიცირების ხელშეწყობის ღონისძიებები

1. სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია აღნიშნულ დაწესებულებაში მელოგინის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე შესვლის შესახებ მისი შესვლიდან 24 საათში, მინისტრის მიერ დადგენილი წესით აცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს.

2. სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაცია ასევე ვალდებულია მელოგინის მიერ ჩვილის მიტოვების და გაპარვის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

3. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დახმარებით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ადგენს მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვის დედის ვინაობას (საიდენტიფიკაციო მონაცემებს) და სავარაუდო საცხოვრებელი ადგილის მისამართს.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. მშობლის (მშობლების) თანხმობა ბავშვის გაშვილებაზე

1. დაუშვებელია ბავშვის მშობლის (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის გარეშე გაშვილება.

2. მშობელმა (მშობლებმა) ან სხვა კანონიერმა წარმომადგენელმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბავშვის გაშვილებაზე თანხმობა უნდა დაადასტუროს (დაადასტურონ) სპეციალური ფორმით, რომელსაც ამტკიცებს სააგენტოს დირექტორი.

3. ბავშვის მშობლის (მშობლების) თანხმობის გარეშე გაშვილება დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) სასამართლოს მიერ მშობელს (მშობლებს) ჩამორთმეული აქვს (აქვთ) მშობლის უფლება;

ბ) სასამართლოს მიერ მშობელი (მშობლები) უგზო-უკვლოდ დაკარგულად არის (არიან) აღიარებული;

გ) მშობელი (მშობლები) გარდაცვლილია (გარდაცვლილი არიან);

დ) სასამართლოს მიერ ბავშვი აღიარებულია მიტოვებულად.

4. თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთვის ცნობილი გახდა, რომ გასაშვილებელი ბავშვის მიმართ დაწყებულია მამობის დადგენის პროცედურები, შვილად აყვანის პროცესი შეჩერდება. თუ მამობა არ დადგინდა, შვილად აყვანის პროცესი გაგრძელდება, ხოლო მამობის დადგენის შემთხვევაში შვილად აყვანის პროცესი შეწყდება.

5. თუ მშობელმა (მშობლებმა) ან სხვა კანონიერმა წარმომადგენელმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელმაც (რომლებმაც) ნებაყოფლობით გასცა (გასცეს) თანხმობა ბავშვის გაშვილებაზე, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე უარი განაცხადა (განაცხადეს) ბავშვის გაშვილებაზე, შვილად აყვანის პროცესი შეწყდება.

6. ბავშვის გაშვილებაზე თანხმობა არ უნდა იყოს განპირობებული გასამრჯელოთი, ნებისმიერი მატერიალური ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთით (მათ შორის, მომსახურების მიღებით), იძულებით.

მუხლი 13. ბავშვის თანხმობა შვილად აყვანაზე და მისი აზრის გათვალისწინება

10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის შვილად აყვანისთვის აუცილებელია მისი ინფორმირებული წერილობითი თანხმობა, ხოლო 10 წლამდე ასაკის ბავშვის შემთხვევაში, მისი სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება მისი სურვილი. განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვს გაშვილებისას საკუთარი ნების გამოსავლენად, საჭიროების შესაბამისად უნდა გაეწიოს სათანადო დახმარება.

მუხლი 14. ბავშვის მიტოვებულად აღიარება ან/და მშობლის უფლების ჩამორთმევა/შეჩერება

1. ბავშვი მიტოვებულად აღიარებას ექვემდებარება, თუ:

ა) ის არის ნაპოვნი ბავშვი და მისი აღმოჩენიდან 6 კვირის ვადაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ვერ დადგინდა ამ ბავშვის ვინაობა ან/და მისი მშობლის (მშობლების) ვინაობა;

ბ) ის არის ნაპოვნი ბავშვი და ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში, იმავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგად დადგინდა ამ ბავშვის ვინაობა ან/და მისი მშობლის (მშობლების) ვინაობა, მაგრამ ის (ისინი) თავს არიდებს (არიდებენ) მშობლის უფლებების განხორციელებას და მოვალეობების შესრულებას, შეტყობინებიდან 7 დღის ვადაში არ გამოცხადდა (გამოცხადდნენ) მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოში ან მასთან (მათთან) დაკავშირება შეუძლებელია;

გ) ბავშვის მშობელმა (მშობლებმა) საკუთარი მოქმედებით ან უმოქმედობით გამოხატა (გამოხატეს) მისი მიტოვება ან/და ის (ისინი), სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული პრევენციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების მიუხედავად, თავს არიდებს (არიდებენ) მშობლის უფლებების განხორციელებას და მოვალეობების შესრულებას ან ბავშვზე 24-საათიანი სახელმწიფო ზრუნვის ხანგრძლივობა აღემატება 3 თვეს (გარდა მშობლის (მშობლების) ჯანმრთელობის არასათანადო მდგომარეობისა ან მშობლის (მშობლების) პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნისა) და ბავშვის მშობელს (მშობლებს) შეზღუდული ან შეჩერებული აქვს (აქვთ) მშობლის უფლება-მოვალეობები.

2. თუ დადგინდა, რომ მშობელი არასაპატიო მიზეზით არ იჩენს სისტემატურ ყურადღებას ბავშვის მიმართ და ცნობილია მშობლის საცხოვრებელი ადგილის მისამართი, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო ვალდებულია გააფრთხილოს მშობელი, რომ უყურადღებობის გამო ბავშვი შეიძლება მიტოვებულად აღიარონ და გააშვილონ. თუ გაფრთხილებიდან 2 თვის ვადაში მშობელი კვლავ არ ინტერესდება ბავშვით, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო ვალდებულია განიხილოს ბავშვის მიტოვებულად აღიარების ან ამ ბავშვის მიმართ მშობლის უფლების ჩამორთმევის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის საკითხი. ამ საკითხის განხილვის შედეგები უნდა ეცნობოს სააგენტოს.

3. ბავშვის მიტოვებულად აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო მისთვის მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს მიმართვის შემდეგ.

4. ბავშვის მიტოვებულად აღიარების შესახებ სასამართლოსთვის მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს მიმართვამდე მისი დაბადება რეგისტრირებული უნდა იყოს.

5. თუ ბავშვის მიტოვებულად აღიარების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება მიღებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ამ ბავშვის მიმართ მშობლის უფლება-მოვალეობები შეჩერებულად მიიჩნევა. ამ შემთხვევაში მიტოვებულად აღიარებულ ბავშვს დადგენილი წესით ენიჭება გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი და მის მიმართ შესაძლებელია შვილად აყვანის პროცედურების განხორციელება.

6. სასამართლო ბავშვის მიტოვებულად აღიარების საკითხს განიხილავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

7. ბავშვის მიტოვებულად აღიარების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ბავშვი აღიარებულია მიტოვებულად.

8. ნაპოვნი ბავშვის აღმოჩენიდან ან ბავშვის მშობლის (მშობლების) მიერ საკუთარი მოქმედებით ან უმოქმედობით გამოხატული ბავშვის მიტოვებიდან ამ ბავშვის მიმართ მშობლის უფლება-მოვალეობები შეჩერებულად მიიჩნევა. ამ უფლებებს განახორციელებს და მოვალეობებს შეასრულებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

9. ბავშვის მიტოვებულად აღიარებამდე მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო:

ა) იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის დროებით განთავსების თაობაზე;

ბ) უზრუნველყოფს ბავშვის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას და არის მისი კანონიერი წარმომადგენელი;

გ) უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს ბავშვის დაბადების რეგისტრაციის მოთხოვნით.

10. პრევენციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. შვილად აყვანის უპირატესი უფლება

1. გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანის უპირატესი უფლება აქვს:

ა) მშვილებელს, რომელსაც სურს შვილად თავისი მეუღლის შვილი აიყვანოს;

ბ) მშვილებელს, რომელიც არის გასაშვილებელი ბავშვის ნათესავი ამ კანონით დადგენილ პირთა წრიდან;

გ) მშვილებელს, რომელსაც უკვე აყვანილი ჰყავს შვილად გასაშვილებელი ბავშვის დედმამიშვილი;

დ) მინდობით აღმზრდელს, რომელსაც ბოლო 6 თვის განმავლობაში მინდობით აღსაზრდელად ჰყავდა გადაცემული მინდობით აღსაზრდელი.

2. საქართველოში მუდმივად მცხოვრები ბავშვის შვილად აყვანის უპირატესი უფლების მქონე შვილად აყვანის მსურველმა საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა პირმა ან უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებმა პირმა უნდა დააკმაყოფილოს შვილად აყვანისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

3. შვილად აყვანის უპირატესი უფლება აქვს საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირს ან უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებ პირს, რომელიც არის გასაშვილებელი ბავშვის ნათესავი ამ კანონის მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით დადგენილ პირთა წრიდან.

4. შვილად აყვანის უპირატესი უფლების მქონე პირის მიმართ არ მოქმედებს შვილად აყვანის რიგითობის პრინციპი.

5. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო შვილად აყვანის პროცედურების განხორციელებისას შვილად აყვანის უპირატესი უფლების გამოყენების შემთხვევაში ამ კანონით დადგენილი წესით ამზადებს დასკვნას.

6. საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მშვილებელს (მშვილებლებს), რომელიც (რომლებიც) იმავდროულად არის (არიან) უცხო ქვეყნის მოქალაქე (მოქალაქეები), რეესტრში აღრიცხულ გასაშვილებელ ბავშვს არ შესთავაზებენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბავშვი არის საერთაშორისო შვილად აყვანას დაქვემდებარებული ბავშვი ან მშვილებელი (მშვილებლები) არის (არიან) გასაშვილებელი ბავშვის ნათესავი (ნათესავები) ამ კანონის მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით დადგენილ პირთა წრიდან.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოში მუდმივად მცხოვრებ იმ მშვილებელ მეუღლეებზე, რომელთაგან ერთ-ერთი არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი.

8. ბავშვის მშობლის (მშობლების) ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის (მინისტრის მიერ დამტკიცებული დაავადებათა ნუსხის მიხედვით) ან გარდაცვალების შემთხვევაში შვილად აყვანის უპირატესი უფლება აქვს იმ პირს, რომელზედაც ბავშვის მშობელმა (მშობლებმა) მიუთითა (მიუთითეს) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში.

მუხლი 16. პირდაპირი შვილად აყვანა და მასთან დაკავშირებული აკრძალვები

1. აკრძალულია შვილად აყვანის მსურველ პირსა/მშვილებელსა და საქართველოში მუდმივად მცხოვრები ბავშვის მშობელს (მშობლებს) ან სხვა კანონიერ წამომადგენელს შორის წინასწარი მოლაპარაკება ან გარიგება შვილად აყვანის მიზნით, აგრეთვე ბავშვის, ბავშვის გაშვილების მსურველი პირის ან შვილად აყვანის მსურველი პირის/მშვილებლის შესახებ ინფორმაციის მოძიება ან გავრცელება.

2. აკრძალულია შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალის წინასწარ შერჩევა და მისი სამშობიაროდ საქართველოს ფარგლების გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთი ქმედებისთვის ხელის შეწყობა.

3. აკრძალულია შვილად აყვანის მსურველი პირის/მშვილებლის მიერ საერთაშორისო შვილად აყვანა და ბავშვის მოძიება კომპეტენტური ორგანოს მონაწილეობის გარეშე.

თავი III

საქართველოში ბავშვის შვილად აყვანა

მუხლი 17. მშვილებელი

1. მშვილებელი შეიძლება იყოს საქართველოში მუდმივად მცხოვრები, სრულწლოვანი პირი, რომელიც აკმაყოფილებს მშვილებლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, გარდა იმ პირისა:

ა) რომელსაც ჩამოერთვა მშობლის უფლება ან ადრე ჰყავდა შვილად აყვანილი ბავშვი, იყო არასრულწლოვანი პირის მეურვე/მზრუნველი ან მინდობით აღსაზრდელად გადაცემული ჰყავდა მინდობით აღსაზრდელი, მაგრამ ეს ურთიერთობა გაუქმდა მის მიერ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო;

ბ) რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეეზღუდა მშობლის უფლება-მოვალეობები მშობლის უფლებების განუხორციელებლობისა და მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო;

გ) რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის (მინისტრის მიერ დამტკიცებული დაავადებათა ნუსხის მიხედვით) გამო მშობლის მოვალეობებს ჯეროვნად ვერ ასრულებს;

დ) რომლის ოჯახის სოციალური მდგომარეობა არ აღემატება მინდობით აღზრდის მიზნით გადაცემისათვის სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებს, გარდა ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული შვილად აყვანის უპირატესი უფლების მქონე პირისა;

ე) რომელსაც სასამართლომ მსჯავრი დასდო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXIV თავით გათვალისწინებული დანაშაულისთვის და ნასამართლობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისა, როდესაც პირი არ შეიძლება იყოს მშვილებელი, მიუხედავად იმისა, მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს თუ არა ნასამართლობა;

ვ) რომელიც ნასამართლევია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 112-ე მუხლებით, 126-ე მუხლის 1^1 ნაწილითა და მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 126^1 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 137-ე, 138-ე, 139-ე, 140-ე, 141-ე, 142^2, 143^1, 143^2, 144^1, 144^2, 144^3, 171-ე, 172-ე, 172^1, 253-ე, 255^1 და 255^2 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, მიუხედავად იმისა, მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს თუ არა ნასამართლობა.

2. ბავშვი შვილად შეიძლება აიყვანოს (აიყვანონ):

ა) დაქორწინებულმა პირებმა;

ბ) ერთ-ერთმა მეუღლემ ამ კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

გ) დაუქორწინებელმა პირმა.

3. დაქორწინებულმა პირებმა ბავშვი შვილად ერთობლივად უნდა აიყვანონ, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4. არ შეიძლება ერთი ბავშვი შვილად აიყვანოს ორმა პირმა, გარდა მეუღლეებისა.

5. პირი, რომელსაც შვილად თავისი მეუღლის შვილი აჰყავს, ვალდებულია მშვილებლად რეგისტრირების შესახებ განაცხადს დაურთოს შვილად ასაყვანი ბავშვის დაბადების მოწმობა, ბავშვის წერილობითი თანხმობა (თუ იგი 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკისაა), ბიოლოგიური მშობლის (ბიოლოგიური მშობლების) თანხმობა ამ პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანაზე ან დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობას:

ა) მეორე მშობლის გარდაცვალებას;

ბ) მეორე მშობლის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებას;

გ) მეორე მშობლისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევას.

6. შვილად აყვანის მსურველ საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირთა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის, რეესტრის წარმოების და ამ პირთა

საქართველოში მუდმივად ცხოვრების ფაქტის დადასტურების წესი და პირობები განისაზღვრება შვილად აყვანის პროცედურებით, რომლებიც მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 18. მშვილებლის ასაკი

1. მშვილებელსა და გასაშვილებელ ბავშვს შორის ასაკობრივი სხვაობა არ უნდა იყოს 16 წელზე ნაკლები. საპატიო მიზეზის არსებობისას სასამართლომ შესაძლებელია შეცვალოს ეს ასაკობრივი სხვაობა.

2. მშვილებელსა და 10 წლამდე ასაკის გასაშვილებელ ბავშვს შორის მაქსიმალური ასაკობრივი სხვაობა არ უნდა იყოს 49 წელზე მეტი (ზედა ასაკობრივი ზღვარი). გამონაკლის შემთხვევაში მშვილებელსა და 7 წლიდან 10 წლამდე ასაკის გასაშვილებელ ბავშვს შორის მაქსიმალური ასაკობრივი სხვაობა შესაძლებელია იყოს 49 წელზე მეტი, თუ ეს შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ზედა ასაკობრივი ზღვარი არ ვრცელდება დაქორწინებულ მშვილებლებზე, როდესაც ერთ-ერთი მათგანი აკმაყოფილებს ამ პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. შვილად აყვანის უპირატესი უფლების მქონე პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანის დროს ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დაწესებული ასაკობრივი შეზღუდვები არ მოქმედებს.

მუხლი 19. საქართველოში მშვილებლად დასარეგისტრირებლად მიმართვა და წარსადგენი დოკუმენტები

1. საქართველოში მუდმივად მცხოვრები ბავშვის შვილად აყვანის მსურველმა საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა პირმა სააგენტოს დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმის განაცხადი უნდა წარუდგინოს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. შვილად აყვანის მსურველმა პირმა მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს განაცხადთან ერთად უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ქორწინების მოწმობის ასლი – ქორწინების შემთხვევაში; განქორწინების მოწმობის ასლი – განქორწინების შემთხვევაში; გარდაცვალების მოწმობის ასლი – მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში;

გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა;

დ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა (თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა არ შეიცავს ამ ინფორმაციას);

ე) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერი, რომლითაც დასტურდება მშვილებლად რეგისტრაციის მსურველი პირის მიერ ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის დაკმაყოფილება. ამასთანავე, მან მშვილებლად რეგისტრაციის შემდეგ, ყოველ მომდევნო წელს უნდა გაიაროს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასება აღნიშნული პირობის დაკმაყოფილების დასადასტურებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოიხსნება აღრიცხვიდან;

ვ) ნასამართლობის შესახებ ცნობა;

ზ) პირის მსჯავრდების შესახებ ცნობა;

თ) შვილად აყვანის მსურველი პირის მიერ სავალდებულო მოსამზადებელი კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი – სერტიფიკატი.

3. განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სასურველი შვილად ასაყვანი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკის, სქესისა და წარმომავლობის შესახებ და სხვა მონაცემებს. ეს ინფორმაცია დასტურდება სპეციალური ფორმით, რომელსაც სააგენტოს დირექტორი სამართლებრივი აქტით ამტკიცებს.

4. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო შვილად აყვანის მსურველი პირის განაცხადისა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას პირის მშვილებლად რეგისტრაციის შესახებ/ პირის მშვილებლად რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ და მას აღნიშნულ პირს აცნობებს.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა არ ვრცელდება შვილად აყვანის უპირატესი უფლების მქონე პირზე.

მუხლი 20. საქართველოში შვილად აყვანის მსურველი პირის მიერ სავალდებულო მოსამზადებელი კურსის გავლა

1. პირმა, რომელსაც სურს საქართველოში ან/და უცხო ქვეყნიდან ბავშვის შვილად აყვანა, უნდა გაიაროს სავალდებულო მოსამზადებელი კურსი, რომლის მიზანია შვილად აყვანის მსურველი პირის მიერ ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენა.

2. სავალდებულო მოსამზადებელი კურსის პროგრამა, კურსის ხანგრძლივობა, კურსის გავლის წესი, კურსის საფასური და კურსთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

3. განსხვავებული საჭიროების მქონე გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანის მსურველი პირი თავისუფლდება სავალდებულო მოსამზადებელი კურსის საფასურის გადახდისაგან.

4. შვილად აყვანის მსურველი პირის მიერ სავალდებულო მოსამზადებელი კურსის გავლის შემდეგ გაიცემა კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი – სერტიფიკატი, რომლის ფორმას სააგენტოს დირექტორი სამართლებრივი აქტით ამტკიცებს.

5. იმ მშვილებელს, რომელმაც გაიარა სავალდებულო მოსამზადებელი კურსი, მიიღო კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და შვილად აიყვანა ბავშვი, მეორე ან მეორისშემდგომი ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში კურსის გავლა აღარ მოეთხოვება, ხოლო იმ პირმა, რომელსაც ჰყავს ბიოლოგიური შვილი და გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანა სურს, უნდა გაიაროს სავალდებულო მოსამზადებელი კურსი.

მუხლი 21. გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ერთიანი რეესტრი

1. რეესტრის წარმოებას უზრუნველყოფს სააგენტო. რეესტრში თავმოყრილია გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა შესახებ მონაცემები.

2. ბავშვის რეესტრში აღრიცხვა არ ნიშნავს, რომ მისთვის აუცილებლად მოინახება მშვილებელი. მშვილებლის რეესტრში აღრიცხვა არ ნიშნავს, რომ მას აუცილებლად შეეთავაზება გასაშვილებელი ბავშვი.

3. რეესტრში თავმოყრილი მონაცემები ხელმისაწვდომია რეესტრის უფლებამოსილი პირებისთვის, რომლებსაც სააგენტოს დირექტორი ადმინისტრაციული აქტით განსაზღვრავს.

4. იმ გასაშვილებელი ბავშვის შესახებ მონაცემები, რომელიც ექვემდებარება უცხო ქვეყანაში შვილად აყვანას, მიეწოდება მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

5. რეესტრის წარმოების წესი და პროცედურები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 22. შვილად აყვანის რიგითობა

1. შვილად აყვანის დროს დაცული უნდა იქნეს რეესტრში არსებული რიგითობა, მშვილებლისა (მშვილებლებისა) და გასაშვილებელი ბავშვის თავსებადობის გათვალისწინებით.

2. შეთავაზებულ ბავშვზე მშვილებლის (მშვილებლების) მიერ უარის თქმის შემთხვევაში მშვილებელი ინარჩუნებს რეესტრში არსებულ რიგითობას და მას (მათ) უნდა შესთავაზონ სხვა ბავშვი მის (მათ) მიერ განაცხადში ბავშვის შესახებ მითითებული კრიტერიუმების შესაბამისად, ხოლო ის ბავშვი

რომელზედაც მან (მათ) უარი თქვა (თქვეს), დადგენილი წესით უნდა შესთავაზონ სხვა მშვილებელს (მშვილებლებს).

3. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ერთი და იმავე მშვილებლისთვის ახორციელებს მხოლოდ 2 შეთავაზებას რეესტრში აღრიცხული ბავშვის შვილად ასაყვანად. თუ მშვილებელმა შეთავაზებებზე უარი განაცხადა, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას მშვილებლის რეესტრში აღრიცხვიდან მოხსნის თაობაზე, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება სააგენტოს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დაწესებული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც მშვილებელს განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვი შესთავაზეს ან მშვილებლის ინიციატივით ჩატარებული სამედიცინო შემოწმების შედეგები განსხვავდება გასაშვილებელი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არსებული მონაცემებისგან.

მუხლი 23. გასაშვილებელი ბავშვის მშვილებლისთვის შეთავაზება

1. მშვილებელს გასაშვილებელ ბავშვს შესთავაზებენ რეესტრში არსებული რიგითობის, მშვილებლის მიერ განაცხადში ბავშვის შესახებ მითითებული კრიტერიუმების შესაბამისად და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. შვილად აყვანის უპირატესი უფლების მქონე პირის მიმართ არ მოქმედებს რიგითობის პრინციპი.

2. მშვილებელს უფლება აქვს, შეთავაზებულ გასაშვილებელ ბავშვს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს უფლებამოსილი პირის თანხლებით ჩაუტაროს სამედიცინო შემოწმება, თუ ეს არ დააზიანებს ბავშვის ჯანმრთელობას და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

3. მშვილებელი ვალდებულია შეთავაზებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წერილობით დაადასტუროს საკუთარი პოზიცია (თანხმობა/უარი) შეთავაზებული ბავშვის შვილად აყვანის შესახებ. ამ ვადის გადაცილება შეთავაზებული ბავშვის აყვანაზე უარის თქმად მიიჩნევა. აღნიშნული თანხმობის/უარის შესახებ ინფორმაცია ეგზავნება სააგენტოს.

4. თუ მშვილებელმა უარი თქვა შეთავაზებული ბავშვის შვილად აყვანაზე, მან უნდა მიუთითოს უარის დასაბუთებული მიზეზი.

5. აკრძალულია ბავშვის სხვა მშვილებლისთვის შეთავაზება, ვიდრე მშვილებელი, რომელსაც ის შესთავაზეს, დადგენილ ვადაში არ დაადასტურებს საკუთარ პოზიციას შეთავაზებული ბავშვის შვილად აყვანის შესახებ.

6. მშვილებელი, რომელმაც შეთავაზებული ბავშვის შვილად აყვანაზე უარი თქვა, ვალდებულია არ გაამჟღავნოს ბავშვის შესახებ მონაცემები.

7. შეთავაზებული ბავშვის შვილად აყვანაზე თანხმობის განცხადების შემთხვევაში მშვილებელი ვალდებულია მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს წარუდგინოს ამ კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“–„ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები, რის შემდეგაც მშვილებლისა და გასაშვილებელი ბავშვის თავსებადობის დასადგენად მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო სააგენტოს დავალებით იწყებს შემდგომი პროცედურების განხორციელებას.

8. მშვილებლისა და გასაშვილებელი ბავშვის თავსებადობის დასადგენად შეფასების ჩატარებისას სოციალური მუშაკი ითვალისწინებს მშვილებლის ოჯახში ბავშვის აღზრდისა და სრულფასოვანი განვითარების საჭიროებებს, მშვილებლის მიერ ამ საჭიროებების დაკმაყოფილების უპირატეს ასპექტებს (მშვილებლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ურთიერთობები, ძლიერი და სუსტი მხარეები, ბავშვის შვილად აყვანის მოტივაცია, სოციალური კონტაქტები, პიროვნული მახასიათებლები, დამხმარე ქსელი, ბავშვის ეთნიკური, რელიგიური და კულტურული თავისებურებები და სხვა), რომლებიც დეტალურად აისახება მშვილებლისა და ბავშვის თავსებადობის შესახებ დასკვნაში.

მუხლი 24. შვილად აყვანის შესახებ დასკვნის მომზადება და სასამართლოსთვის წარდგენა

1. თუ მშვილებელი შეთავაზებული ბავშვის შვილად აყვანაზე თანხმობას განაცხადებს, მისი თანხმობის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო ამზადებს დასკვნას შვილად აყვანის შესახებ.

2. შვილად აყვანის შესახებ დასკვნაში აღინიშნება:

ა) მშვილებლის შესახებ მონაცემები (სახელი და გვარი, პირადი ნომერი, დაბადების ადგილი და თარიღი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, სამუშაო ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ინფორმაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან), პიროვნული მახასიათებლები, ბავშვის შვილად აყვანის მოტივაცია;

ბ) გასაშვილებელი ბავშვის შესახებ მონაცემები (სახელი და გვარი, პირადი ნომერი, დაბადების ადგილი და თარიღი, მშობლის (მშობლების) და მეურვის/მზრუნველის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ჯანმრთელობის მდგომარეობა), პიროვნული მახასიათებლები;

გ) ბავშვისთვის გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მინიჭების საფუძველი;

დ) მშვილებლისა და ბავშვის რეესტრში აღრიცხვაზე აყვანის შესახებ გადაწყვეტილებები;

ე) მშვილებლისთვის გასაშვილებელი ბავშვის შეთავაზების საფუძველი;

ვ) მშვილებლისა და ბავშვის თავსებადობის შესახებ დასკვნა.

3. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ მომზადებული შვილად აყვანის შესახებ დასკვნა მომზადებიდან 1 კვირის ვადაში წარედგინება შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

თავი IV

საერთაშორისო შვილად აყვანა

მუხლი 25. ჰააგის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოსთან სამართლებრივი ურთიერთობის ხელშეწყობა

1. საერთაშორისო შვილად აყვანის სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით საქართველომ შეიძლება დადოს საერთაშორისო ხელშეკრულება/შეთანხმება, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს.

2. სამინისტროსა და სააგენტოს უფლება აქვთ, საერთაშორისო შვილად აყვანის სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით ჰააგის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს შესაბამის ორგანოსთან გააფორმონ ურთიერთგაგების მემორანდუმი.

მუხლი 26. საქართველოს ურთიერთობა იმ სახელმწიფოსთან, რომელიც ჰააგის კონვენციის მონაწილე არ არის

1. საქართველოს ურთიერთობა იმ სახელმწიფოსთან, რომელიც ჰააგის კონვენციის მონაწილე არ არის, განისაზღვრება ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან ურთიერთშეთანხმების სხვა ფორმით.

2. იმ სახელმწიფოსთან, რომელიც ჰააგის კონვენციის მონაწილე არ არის, სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრისას შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებული უნდა იქნეს ჰააგის კონვენციის მოთხოვნები.

3. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამინისტრო საერთაშორისო შვილად აყვანის სფეროში დებს უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

4. სამინისტროსა და სააგენტოს უფლება აქვთ, საერთაშორისო შვილად აყვანის სფეროში

თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით იმ სახელმწიფოს, რომელიც ჰაგის კონვენციის მონაწილე არ არის, შესაბამის ორგანოსთან გააფორმონ ურთიერთგაგების მემორანდუმი.

მუხლი 27. საქართველოში საერთაშორისო შვილად აყვანის ურთიერთობებში უფლებამოსილი ორგანო

საქართველოში საერთაშორისო შვილად აყვანის ურთიერთობებში უფლებამოსილი ორგანოა სააგენტო (ცენტრალური აპარატი), რომელიც ამავე ურთიერთობებში არის ცენტრალური ორგანო (შემდგომ – ცენტრალური ორგანო).

მუხლი 28. ცენტრალური ორგანოს მაკოორდინირებელი როლი

1. ცენტრალური ორგანო კოორდინაციას უწევს საქართველოს ყველა სახელმწიფო ორგანოსა და დაწესებულების საქმიანობას საერთაშორისო შვილად აყვანასთან დაკავშირებით.

2. საქართველოს ყველა ორგანო და დაწესებულება, რომლებიც რაიმე ფორმით მონაწილეობენ საერთაშორისო შვილად აყვანის ურთიერთობებში, მიუხედავად მათი სამართლებრივი ფორმისა, ვალდებულია საერთაშორისო შვილად აყვანასთან დაკავშირებული მოთხოვნების შეუსრულებლობის ან შეუსრულებლობის რისკის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ცენტრალურ ორგანოს.

3. ცენტრალური ორგანო ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 29. ცენტრალური ორგანოს თანამშრომლობა კომპეტენტურ ორგანოებთან

ცენტრალური ორგანო თანამშრომლობს კომპეტენტურ ორგანოებთან და ხელს უწყობს ამ ორგანოებთან თანამშრომლობას ბავშვთა უფლებების დასაცავად და ამ კანონით და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 30. ცენტრალური ორგანოს უფლებამოსილებანი საერთაშორისო შვილად აყვანის სფეროში

საერთაშორისო შვილად აყვანის სფეროში ცენტრალური ორგანო უფლებამოსილია:

ა) უზრუნველყოს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება და ბავშვის უფლებების დაცვა;

ბ) განახორციელოს საერთაშორისო შვილად აყვანის პროცედურები;

გ) კოორდინაცია გაუწიოს ყველა ორგანიზაციას/დაწესებულებას, რომლებიც რაიმე ფორმით მონაწილეობენ საერთაშორისო შვილად აყვანის ურთიერთობებში, მიუხედავად მათი სამართლებრივი ფორმისა;

დ) ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფოთა შესაბამის სამსახურებთან და გაუცვალოს მათ ინფორმაცია;

ე) განახორციელოს ამ კანონით და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 31. უცხო ქვეყნის აკრედიტებული ორგანოს საქმიანობის ფარგლები საქართველოს ტერიტორიაზე

1. საქართველო იყენებს უცხო ქვეყნის აკრედიტებული ორგანოს მომსახურებას საქართველოში მუდმივად მცხოვრები ბავშვის უცხო ქვეყანაში შვილად აყვანასთან დაკავშირებით.

2. საქართველო იყენებს უცხო ქვეყნის აკრედიტებული ორგანოს მომსახურებას საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირის მიერ უცხო ქვეყნიდან ბავშვის შვილად აყვანასთან დაკავშირებით.

3. საერთაშორისო შვილად აყვანასთან დაკავშირებით უცხო ქვეყნის აკრედიტებულ ორგანოსთან თანამშრომლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ცენტრალური ორგანო.

4. ცენტრალურ ორგანოს უფლება აქვს, უცხო ქვეყნის აკრედიტებულ ორგანოს არ მიანიჭოს

საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის უფლებამოსილება, თუ იგი არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს ან ცენტრალური ორგანო არ საჭიროებს მის მომსახურებას.

5. ცენტრალურ ორგანოს უფლება აქვს, უცხო ქვეყნის აკრედიტებულ ორგანოს შეუწყვიტოს საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის უფლებამოსილება ან არ განუახლოს საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის შეწყვეტილი უფლებამოსილება, თუ იგი არაჯეროვნად ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, აღარ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს ან ცენტრალური ორგანო აღარ საჭიროებს მის მომსახურებას. ცენტრალურ ორგანოს ასევე უფლება აქვს, უცხო ქვეყნის აკრედიტებულ ორგანოს შეუჩეროს საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის უფლებამოსილება, თუ იგი არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში უცხო ქვეყნის აკრედიტებული ორგანოს მეშვეობით რეგისტრირებულ მშვილებლებს (მშვილებელს) ცენტრალური ორგანო გასაშვილებელ ბავშვს არ შესთავაზებს, ხოლო შეთავაზებული გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანის პროცედურები არ გაგრძელდება, გარდა შვილად აყვანის საქმის სასამართლო განხილვის ეტაპისა.

მუხლი 32. უცხო ქვეყნის აკრედიტებული ორგანოსადმი მოთხოვნები

1. უცხო ქვეყნის აკრედიტებულმა ორგანომ ცენტრალურ ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარუდგინოს აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აგრეთვე უფლებამოსილი ორგანოს რეკომენდაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. უცხო ქვეყნის აკრედიტებულმა ორგანომ ცენტრალურ ორგანოს უნდა წარუდგინოს საერთაშორისო შვილად აყვანის შემდგომი ანგარიშები ბავშვის შესახებ.

მუხლი 33. უცხო ქვეყნიდან ბავშვის შვილად აყვანის შესახებ მიმართვა

1. უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები ბავშვის შვილად აყვანის მსურველმა საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა პირებმა (პირმა) კანონით დადგენილი წესით განცხადებით უნდა მიმართონ (მიმართოს) ცენტრალურ ორგანოს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების ფორმას ამტკიცებს ცენტრალური ორგანო.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირები (პირი) უცხო ქვეყნიდან ბავშვის შვილად აყვანის მიზნით მშვილებლებად (მშვილებლად) რეგისტრაციისთვის უნდა აკმაყოფილებდნენ (აკმაყოფილებდეს) ყველა მოთხოვნას, რომლებიც დადგენილია საქართველოში ბავშვის შვილად აყვანისთვის.

4. უცხო ქვეყნიდან ბავშვის შვილად აყვანის მსურველი პირები (პირი) ვალდებული არიან (ვალდებულია), დამატებით წარადგინონ (წარადგინოს) სათანადო დოკუმენტაცია, რომელსაც ითვალისწინებს წარმოშობის სახელმწიფოს კანონმდებლობა და მოითხოვს შესაბამისი კომპეტენტური ორგანო.

მუხლი 34. საქართველოში მუდმივად მცხოვრები მშვილებლების (მშვილებლის) შესახებ ანგარიშის მომზადება და წარმოშობის სახელმწიფოსთვის წარდგენა

1. ცენტრალური ორგანო ამზადებს უცხო ქვეყნიდან ბავშვის შვილად აყვანის მსურველი, რეესტრში რეგისტრირებული საქართველოში მუდმივად მცხოვრები მშვილებლების (მშვილებლის) შესახებ ანგარიშს. ეს ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მშვილებლების (მშვილებლის) ვინაობის, წარმომავლობის, ოჯახის ისტორიის, სამედიცინო ისტორიის და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ამ კანონით დადგენილი წესით, აგრეთვე სოციალური გარემოს, შვილად აყვანის მოტივაციის, სასურველი შვილად ასაყვანი ბავშვის მახასიათებლების, ასეთი ბავშვის აღზრდის უნარისა და სხვა საკითხების თაობაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ანგარიში მზადდება ცენტრალური ორგანოს მიერ დამტკიცებული ფორმით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშს ცენტრალური ორგანო წარუდგენს წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს.

4. საქართველოში მუდმივად მცხოვრები მშვილებლების (მშვილებლის) შესახებ ანგარიშის მომზადებისათვის და სხვა ადმინისტრაციული სამუშაოს შესრულებისათვის მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება საფასური.

მუხლი 35. წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ ცენტრალური ორგანოსთვის ბავშვის შეთავაზება

1. თუ წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს სურს, ცენტრალურ ორგანოს შესთავაზოს გასაშვილებელი ბავშვი საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირის მიერ მისი შვილად აყვანის მიზნით, მან უნდა წარადგინოს ბავშვის შესახებ ანგარიში. ეს ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ბავშვის ვინაობის, წარმომავლობის, სოციალური გარემოს, ოჯახის ისტორიის, ბავშვის და მისი ოჯახის სამედიცინო ისტორიის, ბავშვის განსხვავებული საჭიროებების (მათი არსებობის შემთხვევაში) და იმ გარემოებების შესახებ, რომელთა საფუძველზედაც ბავშვი ექვემდებარება გაშვილებას.

2. წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს ანგარიში აგრეთვე უნდა შეიცავდეს:

ა) დოკუმენტაციას, რომელიც ადასტურებს იმ გარემოებებს, რომელთა საფუძველზედაც ბავშვი ექვემდებარება გაშვილებას;

ბ) შეფასებას, რომელიც ადასტურებს, რომ შეთავაზებული ბავშვის ამ მშვილებლების (მშვილებლის) ოჯახში აღზრდა ბავშვის საუკეთესო ინტერესს შეესაბამება.

მუხლი 36. ცენტრალური ორგანოს მიერ მშვილებლებისთვის (მშვილებლისთვის) ბავშვის შვილად აყვანის მიზნით შეთავაზება და მშვილებლების (მშვილებლის) პოზიცია

1. ცენტრალური ორგანო წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ ბავშვის შეთავაზებიდან (ინფორმაციის მიღებიდან) 7 სამუშაო დღის ვადაში, თუ მხარეები სხვა ვადაზე არ შეთანხმდნენ, იმ მშვილებლებს (მშვილებელს), რომლებიც (რომელიც) მითითებული არიან (მითითებულია) წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს ბავშვის შესახებ ანგარიშში, შვილად აყვანის მიზნით სთავაზობს ბავშვს.

2. მშვილებლები (მშვილებელი) ვალდებული არიან (ვალდებულია), 7 სამუშაო დღის ვადაში ან წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წერილობით დაადასტურონ (დაადასტუროს) საკუთარი პოზიცია შეთავაზებული ბავშვის შვილად აყვანის შესახებ.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში მშვილებლებისგან (მშვილებლისგან) პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ისინი (იგი) უარს ამბობენ (ამბობს) შეთავაზებული ბავშვის შვილად აყვანაზე. ამის შესახებ 3 სამუშაო დღის ვადაში ეცნობება წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს.

მუხლი 37. მშვილებლების (მშვილებლის) თანხმობა წარმოშობის სახელმწიფოდან ბავშვის შვილად აყვანაზე

1. შეთავაზებული ბავშვის შვილად აყვანაზე მშვილებლების (მშვილებლის) თანხმობის დადგენილ ვადაში მიღების შემთხვევაში ცენტრალური ორგანო მისი მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს აცნობებს მშვილებლების (მშვილებლის) თანხმობას ან უარს შეთავაზებული ბავშვის შვილად აყვანაზე და საკუთარ პოზიციას შვილად აყვანის შესაძლებლობის შესახებ.

2. ცენტრალურ ორგანოს უფლება აქვს, წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს უარი განუცხადოს შვილად აყვანის მიზნით შეთავაზებულ ბავშვზე, თუ აშკარაა, რომ ბავშვის შესახებ მონაცემები არ აკმაყოფილებს მშვილებლების (მშვილებლის) მოთხოვნებს ან/და არ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

მუხლი 38. შეთანხმება წარმოშობის სახელმწიფოდან ბავშვის შვილად აყვანის შესახებ

1. თუ ცენტრალური ორგანო და წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო შეთანხმდებიან, რომ შეიძლება განხორციელდეს წარმოშობის სახელმწიფოდან ბავშვის შვილად აყვანის პროცედურა, ცენტრალური ორგანო წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოსთან აწარმოებს მოლაპარაკებას შვილად ასაყვანი ბავშვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლასთან დაკავშირებით.

2. თუ ცენტრალური ორგანო და წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო შეთანხმდებიან შვილად ასაყვანი ბავშვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის შესახებ, ცენტრალური ორგანო შეთანხმების მიღწევიდან 5 სამუშაო დღის ვადაში თხოვნით მიმართავს:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა მისგან მიიღოს ინფორმაცია ბავშვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა და საქართველოში მუდმივად ცხოვრების დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია 20 სამუშაო დღის ვადაში აცნობოს ცენტრალურ ორგანოს, არსებობს თუ არა ბავშვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა და საქართველოში მუდმივად ცხოვრების დამაბრკოლებელი გარემოებები;

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, რათა მისგან 20 სამუშაო დღის ვადაში მიიღოს ინფორმაცია წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ბავშვისთვის საქართველოს მოქალაქეობის მისანიჭებლად ან/და ბავშვის მიერ მუდმივი ცხოვრების ნებართვის მისაღებად პროცედურების დაწყების შესაძლებლობის შესახებ.

3. ცენტრალური ორგანო შესაბამისი უწყებებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე 3 სამუშაო დღის ვადაში აწვდის წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს ინფორმაციას შვილად ასაყვანი ბავშვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის და მის მიერ მუდმივი ცხოვრების ნებართვის მიღების ან/და ბავშვისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის/არარსებობის შესახებ.

მუხლი 39. მშვილებლების (მშვილებლის) ინფორმირება წარმოშობის სახელმწიფოდან ბავშვის შვილად აყვანის შესახებ შეთანხმების თაობაზე

წარმოშობის სახელმწიფოდან ბავშვის შვილად აყვანის შესახებ ცენტრალურ ორგანოსა და წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს შორის არსებული შეთანხმების თაობაზე ინფორმაციას ცენტრალური ორგანო აწვდის მშვილებლებს (მშვილებელს).

მუხლი 40. საერთაშორისო შვილად აყვანის მოწმობის (სერტიფიკატის) აღიარება

1. საქართველო აღიარებს საერთაშორისო შვილად აყვანის პროცედურების განმახორციელებელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ მშვილებლებზე (მშვილებელზე) გაცემულ საერთაშორისო შვილად აყვანის მოწმობას (სერტიფიკატს), თუ შვილად აყვანა ჰაგის კონვენციისა და საქართველოს მიერ ამ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მოთხოვნების დაცვით განხორციელდა.

2. წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ მშვილებლებზე (მშვილებელზე) გაცემული საერთაშორისო შვილად აყვანის მოწმობის (სერტიფიკატის) ასლი ეგზავნება ცენტრალურ ორგანოს.

მუხლი 41. ბავშვის საქართველოში მუდმივად მცხოვრები მშვილებლებისთვის (მშვილებლისთვის) გადაცემა

1. ბავშვის საქართველოში მუდმივად მცხოვრები მშვილებლებისთვის (მშვილებლისთვის) გადაცემას უზრუნველყოფს წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო.

2. ბავშვი საქართველოში გაემგზავრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ამ კანონით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 42. ბავშვის საქართველოში მუდმივად მცხოვრებ შვილად აყვანის მსურველ პირთან დარჩენის შეუძლებლობისას განსახორციელებელი ღონისძიებები

1. თუ უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები ბავშვის შვილად აყვანის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მისი საქართველოში გამგზავრების შემდეგ მიიღება და ცენტრალური ორგანო მიიჩნევს, რომ უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები ბავშვის მშვილებლებთან (მშვილებელთან) დარჩენა არ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, ცენტრალური ორგანო ახორციელებს ბავშვის დასაცავად აუცილებელ ღონისძიებებს, კერძოდ:

ა) უზრუნველყოფს ბავშვის მშვილებლებისგან (მშვილებლისგან) განცალკევებას და შემდგომი ზრუნვის ფორმის განსაზღვრას და ამის შესახებ აცნობებს წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს;

ბ) უკიდურეს შემთხვევაში, უზრუნველყოფს ბავშვის შესაბამის უცხო ქვეყანაში დაბრუნებას, თუ ეს შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

2. ბავშვს ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით უნდა ჩაუტარდეს კონსულტაცია და, საჭიროებისამებრ, მიღებული უნდა იქნეს მისი თანხმობა განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

მუხლი 43. შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ბავშვის საქართველოში გამგზავრების შემდეგ

1. თუ უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები ბავშვის შვილად აყვანა საქართველოში მისი გამგზავრების შემდეგ ხორციელდება, უნდა არსებობდეს ამის შესახებ შეთანხმება ცენტრალურ ორგანოსა და წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს შორის.

2. თუ ცენტრალური ორგანო და წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო შეთანხმდებიან, რომ უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები ბავშვის შვილად აყვანის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოში მიიღება, შვილად აყვანის საქმეს საქართველოს სასამართლო ამ კანონის შესაბამისად განიხილავს.

3. სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ცენტრალური ორგანო მშვილებლებზე (მშვილებელზე) გასცემს საერთაშორისო შვილად აყვანის მოწმობის (სერტიფიკატის) დედანს, ხოლო ასლს წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს უგზავნის.

მუხლი 44. საერთაშორისო შვილად აყვანას დაქვემდებარებული საქართველოში მუდმივად მცხოვრები ბავშვი

1. თუ საქართველოში მუდმივად მცხოვრები გასაშვილებელი ბავშვისთვის მშვილებლები (მშვილებელი) საქართველოში ვერ მოინახა, ცენტრალური ორგანო იწყებს ამ ბავშვის უცხო ქვეყანაში შვილად აყვანის პროცედურას.

2. თუ ბავშვი მისთვის გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მინიჭებიდან 8 თვის განმავლობაში საქართველოში ვერ გაშვილდა, იმავდროულად დადგინდა, რომ უცხო ქვეყანაში გაშვილება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს შეესაბამება, ცენტრალური ორგანო საკუთარი ინიციატივით ამზადებს გასაშვილებელი ბავშვის შესახებ ანგარიშს და მას კომპეტენტურ ორგანოს წარუდგენს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვადა არ ვრცელდება შვილად აყვანის უპირატესი უფლების მქონე პირზე.

4. სასამართლომ შესაძლებელია შეამციროს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვადა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით.

მუხლი 45. საერთაშორისო შვილად აყვანას დაქვემდებარებული საქართველოში მუდმივად მცხოვრები ბავშვის შესახებ ანგარიში

1. საერთაშორისო შვილად აყვანას დაქვემდებარებული საქართველოში მუდმივად მცხოვრები ბავშვის შესახებ ცენტრალური ორგანოს ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ბავშვის ვინაობის,

წარმომავლობის, სოციალური გარემოს, ოჯახის ისტორიის, ბავშვის და მისი ოჯახის სამედიცინო ისტორიის, ბავშვის განსხვავებული საჭიროებების (მათი არსებობის შემთხვევაში) და მისთვის გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მინიჭების შესახებ.

2. გასაშვილებელი ბავშვის შესახებ ანგარიშის მოსამზადებლად აუცილებელია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენა, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა.

3. ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო დასკვნის ფორმას ამტკიცებს ცენტრალური ორგანო.

მუხლი 46. უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები პირების (პირის) მიერ საქართველოში მუდმივად მცხოვრები ბავშვის შვილად აყვანის შესახებ მიმართვა

1. საქართველოში მუდმივად მცხოვრები ბავშვის შვილად აყვანის მსურველმა უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებმა პირებმა (პირმა) დადგენილი წესით უნდა მიმართონ (მიმართოს) შესაბამისი მიმღები სახელმწიფოს საერთაშორისო შვილად აყვანის სფეროში კომპეტენტურ ორგანოს.

2. აკრძალულია უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები პირის მიერ ცენტრალური ორგანოსთვის უშუალოდ მიმართვა ან ნებისმიერი სხვა ქმედება, რომლის მიზანია საქართველოში მუდმივად მცხოვრები ბავშვის შვილად აყვანა.

3. პირის უცხო ქვეყანაში მუდმივად ცხოვრების ფაქტი დგინდება მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 47. ბავშვის შვილად აყვანის მსურველი უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები პირების (პირის) შესახებ ანგარიში

1. თუ მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო დაადგენს, რომ საქართველოში მუდმივად მცხოვრები ბავშვის შვილად აყვანის მსურველი მიმღებ სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები პირები (პირი) აკმაყოფილებენ (აკმაყოფილებს) ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და მზად არიან (არის) ბავშვის შვილად აყვანისთვის, იგი ცენტრალურ ორგანოს უგზავნის ანგარიშს. ეს ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შვილად აყვანის მსურველი პირების (პირის) ვინაობის, წარმომავლობის, სოციალური გარემოს, კანონთან კონფლიქტის არსებობის/არარსებობის, სამედიცინო ისტორიის, ბავშვის შვილად აყვანისთვის საჭირო უნარების და სასურველი შვილად ასაყვანი ბავშვის მახასიათებლების (ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი, სქესი, რელიგიური კუთვნილება, წარმომავლობა, ეროვნება) შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშს უნდა დაერთოს:

ა) შვილად აყვანის მსურველი პირების (პირის) საიდენტიფიკაციო დოკუმენტების (პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლები;

ბ) შვილად აყვანის მსურველი პირების (პირის) შესაბამის უცხო ქვეყანაში მუდმივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) რეგისტრირებული ქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტი – მშვილებლების მიერ ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში; განქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტი – მშვილებლების (მშვილებლის) განქორწინების შემთხვევაში; გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტი – მშვილებლის მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში;

დ) ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) მატერიალური/ფინანსური მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების/ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულების შესახებ დოკუმენტი;

ზ) ნასამართლობის შესახებ დოკუმენტი; თუ მშვილებლების (მშვილებლის) ოჯახში სხვა პირები ცხოვრობენ – მათი ნასამართლობის შესახებ დოკუმენტები. შესაბამისი ინფორმაცია შეიძლება

წარდგენილ იქნეს წარმოშობის სახელმწიფოში დადგენილი წესით;

თ) კომპეტენტური ორგანოს რეკომენდაცია ბავშვის შვილად აყვანის შესახებ;

ი) შვილად აყვანის მსურველი პირების (პირის) მიერ სავალდებულო მოსამზადებელი კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ მისი გავლის შესახებ ანგარიშში მითითებული არ არის).

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული, ქართულ ენაზე ნათარგმნი და სანოტარო წესით დამოწმებული, გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. თუ უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებ პირებს (პირს) სურთ (სურს) შვილად აიყვანონ (აიყვანოს) საქართველოში მუდმივად მცხოვრები ბავშვი, რომელიც მათი (მისი) ნათესავია, ცენტრალური ორგანოსთვის გაგზავნილ ანგარიშს უნდა დაერთოს ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 48. უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები პირების (პირის) მშვილებლებად (მშვილებლად) აღრიცხვა

1. ამ კანონის 47-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიშის მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში ცენტრალური ორგანო იღებს გადაწყვეტილებას უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები პირების (პირის) მშვილებლებად (მშვილებლად) აღრიცხვის შესახებ ან აღრიცხვაზე უარის თქმის შესახებ.

2. ამ კანონის 47-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების საფუძველზე ცენტრალური ორგანო რეესტრში აღრიცხავს უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებ პირებს (პირს), რომლებსაც (რომელსაც) სურთ (სურს) შვილად აიყვანონ (აიყვანოს) საქართველოში მუდმივად მცხოვრები გასაშვილებელი ბავშვი.

3. ცენტრალურ ორგანოს უფლება აქვს, უარი თქვას უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები პირების (პირის) მშვილებლებად (მშვილებლად) აღრიცხვაზე, თუ წარმოდგენილი დოკუმენტები არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

4. ცენტრალური ორგანო ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შესაბამის გადაწყვეტილებას 3 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს.

მუხლი 49. გასაშვილებელი ბავშვის უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მშვილებლებისთვის (მშვილებლისთვის) შეთავაზებისათვის მოსამზადებელი ღონისძიებები

1. უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მშვილებლების (მშვილებლის) რეესტრში აღრიცხვის შემდეგ ცენტრალური ორგანო ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

ა) თავსებადობის მიზნით შეარჩევს მშვილებლებს (მშვილებელს) და გასაშვილებელ ბავშვს;

ბ) მშვილებლებისთვის (მშვილებლისთვის) სასურველი ბავშვის გამოვლენის შემთხვევაში ამზადებს ბავშვის შესახებ ანგარიშს. ეს ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გასაშვილებელი ბავშვის ვინაობის, წარმომავლობის, სოციალური გარემოს, ოჯახის ისტორიის, ბავშვის და მისი ოჯახის სამედიცინო ისტორიის, ბავშვის განსხვავებული საჭიროებების (მათი არსებობის შემთხვევაში) და მისთვის გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მინიჭების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბავშვის შესახებ ანგარიშის ფორმას ამტკიცებს ცენტრალური ორგანო.

მუხლი 50. საქართველოში მუდმივად მცხოვრები გასაშვილებელი ბავშვისა და უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მშვილებლების (მშვილებლის) თავსებადობის დადგენა

1. ცენტრალური ორგანო ადგენს საქართველოში მუდმივად მცხოვრები გასაშვილებელი ბავშვისა და

უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები იმ მშვილებლების (მშვილებლის) თავსებადობას, რომელთა (რომლის) თვისებები და უნარ-ჩვევები საუკეთესოდ უპასუხებს ამ ბავშვის საჭიროებებს.

2. გასაშვილებელი ბავშვისა და მშვილებლების (მშვილებლის) თავსებადობას ადგენს შვილად აყვანის კომისია.

3. გასაშვილებელი ბავშვისა და მშვილებლების (მშვილებლის) თავსებადობის დადგენისას შესაძლებლობის ფარგლებში მხედველობაში მიიღება ბავშვის ეთნიკური, რელიგიური და კულტურული კუთვნილება.

4. შვილად აყვანის კომისია იღებს გადაწყვეტილებას გასაშვილებელი ბავშვისა და მშვილებლების (მშვილებლის) თავსებადობის შესახებ.

5. აკრძალულია მშვილებლების (მშვილებლის) რაიმე ფორმით მონაწილეობა გასაშვილებელი ბავშვისა და მშვილებლების (მშვილებლის) თავსებადობის დადგენაში ან გასაშვილებელი ბავშვის შერჩევაში.

მუხლი 51. გასაშვილებელი ბავშვის რეესტრში აღრიცხული უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მშვილებლებისთვის (მშვილებლისთვის) შეთავაზება

1. გასაშვილებელი ბავშვისა და მშვილებლების (მშვილებლის) თავსებადობის დადგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ცენტრალური ორგანო მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს:

ა) წარუდგენს გასაშვილებელი ბავშვის შესახებ ანგარიშს;

ბ) აწვდის მის მიერ მოთხოვნილ სხვა ინფორმაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ ამ ინფორმაციის გაცემა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას;

გ) აწვდის ინფორმაციას მშვილებლებისთვის (მშვილებლისთვის) გასაშვილებელი ბავშვის შეთავაზების საფუძვლის შესახებ.

2. აკრძალულია გასაშვილებელი ბავშვის უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები სხვა მშვილებლებისთვის (მშვილებლისთვის) შეთავაზება, ვიდრე ცენტრალური ორგანო მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოსგან ამ კანონით დადგენილ ვადაში არ მიიღებს პასუხს შეთავაზებული გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანაზე მშვილებლების (მშვილებლის) პოზიციის შესახებ.

მუხლი 52. უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მშვილებლების (მშვილებლის) თანხმობა შეთავაზებული გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანაზე

1. ამ კანონის თანახმად მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოსთვის გასაშვილებელი ბავშვის შესახებ ანგარიშის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ცენტრალურმა ორგანომ უნდა მიიღოს პასუხი შეთავაზებული გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანაზე მშვილებლების (მშვილებლის) პოზიციის თაობაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოსგან პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში მიიჩნევა, რომ მშვილებლები (მშვილებელი) უარს ამბობენ (ამბობს) შეთავაზებული გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანაზე.

3. თუ უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებ მშვილებლებს (მშვილებელს) სურთ (სურს) შეთავაზებული გასაშვილებელი ბავშვის მონახულება, მონახულება ხდება ცენტრალური ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული პირობებით.

4. უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებ მშვილებლებს (მშვილებელს) უფლება აქვთ (აქვს), შეთავაზებულ გასაშვილებელ ბავშვს ჩაუტარონ (ჩაუტაროს) სამედიცინო შემოწმება ცენტრალური ორგანოს თანხმობით. შეთავაზებული გასაშვილებელი ბავშვის სამედიცინო შემოწმების ჩატარების პირობებს განსაზღვრავს ცენტრალური ორგანო.

5. შეთავაზებული გასაშვილებელი ბავშვის მონახულებისთვის ან/და სამედიცინო შემოწმების

ჩატარებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადგენილი ვადის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო ცენტრალურ ორგანოს წერილობით აცნობებს მშვილებლების (მშვილებლის) პოზიციას შეთავაზებული გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანის შესახებ. ამ ვადის გადაცილება შეთავაზებული გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანაზე უარის თქმად მიიჩნევა.

6. თუ უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მშვილებლები (მშვილებელი) თანახმა არიან (არის) შეთავაზებული გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანაზე, მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო და ცენტრალური ორგანო შვილად აყვანის განსახორციელებლად შეთანხმების პროცედურებს იწყებენ.

მუხლი 53. მხარეთა შეთანხმება საქართველოში მუდმივად მცხოვრები გასაშვილებელი ბავშვის უცხო ქვეყანაში შვილად აყვანის პროცედურის განხორციელებაზე

1. თუ ცენტრალური ორგანო და მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო შეთანხმდებიან, რომ შეიძლება განხორციელდეს საქართველოში მუდმივად მცხოვრები გასაშვილებელი ბავშვის უცხო ქვეყანაში შვილად აყვანის პროცედურა, მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო ცენტრალურ ორგანოს აწვდის ინფორმაციას საქართველოში მუდმივად მცხოვრები გასაშვილებელი ბავშვის მიმღებ სახელმწიფოში შესვლისა და მუდმივი ცხოვრების უფლების გარანტიების შესახებ.

2. თუ ცენტრალური ორგანო მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოსგან მიიღებს საქართველოში მუდმივად მცხოვრები გასაშვილებელი ბავშვის მიმღებ სახელმწიფოში შესვლისა და მუდმივი ცხოვრების უფლების გარანტიებს, იგი მათი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ ბავშვის საქართველოს ტერიტორიიდან გასვლის დამაბრკოლებელი გარემოების შესახებ ინფორმაციის მიღების თხოვნით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია ცენტრალურ ორგანოს 20 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია.

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე ცენტრალური ორგანო მისი მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში აცნობებს მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს საქართველოში მუდმივად მცხოვრები გასაშვილებელი ბავშვის საქართველოს ტერიტორიიდან გასვლის დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის/არარსებობის შესახებ.

მუხლი 54. საქართველოდან გასაშვილებელი ბავშვის უცხო ქვეყანაში შვილად აყვანის შესახებ დასკვნის მომზადება და სასამართლოსთვის წარდგენა

1. ამ კანონის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის (კერძოდ, დამაბრკოლებელი გარემოების არარსებობის შესახებ ინფორმაციის) მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ცენტრალური ორგანო ამზადებს დასკვნას საქართველოდან გასაშვილებელი ბავშვის უცხო ქვეყანაში შვილად აყვანის შესახებ.

2. საქართველოდან გასაშვილებელი ბავშვის უცხო ქვეყანაში შვილად აყვანის შესახებ დასკვნაში აღინიშნება:

ა) მშვილებლების (მშვილებლის) შესახებ მონაცემები (სახელი და გვარი, პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პასპორტის ნომერი, დაბადების ადგილი და თარიღი), სოციალური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ბავშვის შვილად აყვანის მოტივაცია;

ბ) გასაშვილებელი ბავშვის შესახებ მონაცემები (სახელი და გვარი, პირადი ნომერი, დაბადების ადგილი და თარიღი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა ინფორმაცია, თუ ამ ინფორმაციის გაცემა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას);

გ) გასაშვილებელი ბავშვისა და მშვილებლების (მშვილებლის) თავსებადობის შესახებ ინფორმაცია;

დ) გასაშვილებელი ბავშვისთვის გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მინიჭების საფუძვლის შესახებ ინფორმაცია;

ე) ცენტრალურ ორგანოსა და მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს შორის გაცვლილი ინფორმაცია შვილად აყვანის შესაძლებლობის შესახებ;

ვ) გასაშვილებელი ბავშვის საქართველოს ტერიტორიიდან გასვლის და მიმღებ სახელმწიფოში შესვლის დამაბრკოლებელი გარემოების არარსებობის შესახებ ინფორმაცია;

ზ) გარემოებები, რომელთა გამოც გასაშვილებელი ბავშვისთვის მშვილებლები (მშვილებელი) საქართველოში ვერ მოინახა.

3. საქართველოდან გასაშვილებელი ბავშვის უცხო ქვეყანაში შვილად აყვანის შესახებ დასკვნა მომზადებიდან 1 კვირის ვადაში წარედგინება შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

მუხლი 55. სასამართლო გადაწყვეტილება საქართველოში მუდმივად მცხოვრები გასაშვილებელი ბავშვის უცხო ქვეყანაში შვილად აყვანის შესახებ

საქართველოში მუდმივად მცხოვრები გასაშვილებელი ბავშვის უცხო ქვეყანაში შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება მიიღება ამ კანონის 61-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 56. საერთაშორისო შვილად აყვანის მოწმობის (სერტიფიკატის) გაცემა

1. ცენტრალური ორგანო საქართველოში მუდმივად მცხოვრები გასაშვილებელი ბავშვის უცხო ქვეყანაში შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში მშვილებლებზე (მშვილებელზე) გასცემს საერთაშორისო შვილად აყვანის მოწმობის (სერტიფიკატის) დედანს, ხოლო ასლს მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს უგზავნის.

2. საერთაშორისო შვილად აყვანის მოწმობის (სერტიფიკატის) ფორმას ამტკიცებს ცენტრალური ორგანო.

მუხლი 57. საქართველოში მუდმივად მცხოვრები გასაშვილებელი ბავშვის უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მშვილებლებისთვის (მშვილებლისთვის) გადაცემა

ცენტრალური ორგანო ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს საქართველოში მუდმივად მცხოვრები გასაშვილებელი ბავშვის უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მშვილებლებისთვის (მშვილებლისთვის) გადაცემის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 58. საერთაშორისო შვილად აყვანის შემდგომი ანგარიშები

1. საქართველოში მუდმივად მცხოვრები მშვილებლების (მშვილებლის) მიერ უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში ცენტრალური ორგანო ვალდებულია კომპეტენტურ ორგანოს წარუდგინოს საერთაშორისო შვილად აყვანის შემდგომი ანგარიში, თუ მხარეები შეთანხმდნენ ამაზე. მშვილებლები (მშვილებელი) ვალდებული არიან (ვალდებულია), ცენტრალურ ორგანოს ხელი შეუწყონ (შეუწყოს) ამ ანგარიშის მომზადებაში.

2. უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მშვილებლების (მშვილებლის) მიერ საქართველოში მუდმივად მცხოვრები გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო ვალდებულია ბავშვის შვილად აყვანიდან პირველი ორი წლის განმავლობაში 6 თვეში ერთხელ, ხოლო მესამე წელს – წელიწადში ერთხელ ცენტრალურ ორგანოს წარუდგინოს ანგარიში შვილად აყვანილი ბავშვის შესახებ, თუ მხარეები ანგარიშის უფრო ხშირად წარდგენაზე არ შეთანხმდნენ.

3. ბავშვის შვილად აყვანიდან სამი წლის შემდეგ ცენტრალურმა ორგანომ, საჭიროებისამებრ, შეიძლება მოითხოვოს მისთვის შვილად აყვანილი ბავშვის შესახებ ანგარიშის წარდგენა ბავშვის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე ნებისმიერ დროს.

4. საერთაშორისო შვილად აყვანის შემდგომი ანგარიშების წარდგენის წესი და პირობები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ანგარიშები წარდგენილი უნდა იქნეს წარმოშობის სახელმწიფოს

ოფიციალურ ენაზე, მიმღები სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე დამოწმებული თარგმანით, თუ მხარეები სხვა პირობებზე არ შეთანხმდნენ.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების მომზადების (თარგმნისა და სანოტარო წესით დამოწმების) ვალდებულება ეკისრებათ (ეკისრება) მშვილებლებს (მშვილებელს).

7. საქართველოში მუდმივად მცხოვრები მშვილებლების (მშვილებლის) მიერ ამ მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისთვის პასუხისმგებლობა დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 59. ანგარიშების კონფიდენციალურობა

შვილად აყვანის პროცედურებთან დაკავშირებული დოკუმენტები, მათ შორის, შვილად აყვანის პროცედურის მონიტორინგის მიზნით მომზადებული ანგარიშები, კონფიდენციალურია.

მუხლი 60. ანგარიშების დაბრუნების განმაპირობებელი გარემოება

1. მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში დაუბრუნდება საქართველოდან ბავშვის უცხო ქვეყანაში შვილად აყვანის მსურველი პირების (პირის) ან მშვილებლების (მშვილებლის) შესახებ ანგარიში (თანდართული დოკუმენტებით) სასამართლოს მიერ შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

2. მშვილებლების (მშვილებლის) სურვილის შემთხვევაში ცენტრალურ ორგანოს უფლება აქვს, წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს მოსთხოვოს მშვილებლების (მშვილებლის) შესახებ ანგარიშის (თანდართული დოკუმენტებით) დაბრუნება სასამართლოს მიერ შვილად აყვანის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

3. ცენტრალურ ორგანოს უფლება აქვს, მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს მოსთხოვოს ბავშვის შესახებ ანგარიშის დაბრუნება, თუ, შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, არ ხდება ბავშვის მიმღებ სახელმწიფოში გამგზავრება.

4. წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში დაუბრუნდება ბავშვის შესახებ ანგარიში სასამართლოს მიერ შვილად აყვანის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

5. ამ მუხლით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით, ცენტრალური ორგანო კომპეტენტური ორგანოს შესაბამის ანგარიშს დააბრუნებს მოთხოვნის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

6. ამ მუხლით განსაზღვრული გარემოებების არსებობის შემთხვევაში წყდება შვილად აყვანის პროცედურები.

თავი V

შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღება, შვილად აყვანის სამართლებრივი შედეგები და შვილად აყვანის საიდუმლოობა

მუხლი 61. შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღება

1. შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რაიონული (საქალაქო) სასამართლო.

2. მშვილებლებს (მშვილებელს) შვილად აყვანის შესახებ განცხადება შეაქვთ (შეაქვს) სასამართლოში თავიანთი (თავისი) ან გასაშვილებელი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. შვილად აყვანის საქმე განიხილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

4. უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები ბავშვის საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირების (პირის) მიერ შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას, საქართველოსა და წარმოშობის სახელმწიფოს შორის შეთანხმებით, იღებს რაიონული (საქალაქო) სასამართლო, თუ ასეთი გადაწყვეტილება

წარმოშობის სახელმწიფოში არ არის მიღებული.

5. თუ უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები ბავშვის საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირების (პირის) მიერ შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოში უნდა იქნეს მიღებული, ამ პირებს (პირს) განცხადება შეაქვთ (შეაქვს) სასამართლოში თავიანთი (თავისი) ადგილსამყოფლის მიხედვით.

6. საქართველოში მუდმივად მცხოვრები ბავშვის უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები პირების (პირის) მიერ შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რაიონული (საქალაქო) სასამართლო. საქართველოში მუდმივად მცხოვრები ბავშვის შვილად აყვანის მსურველ უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებ პირებს (პირს) შვილად აყვანის შესახებ განცხადება შეაქვთ (შეაქვს) სასამართლოში გასაშვილებელი ბავშვის ადგილსამყოფლის მიხედვით.

7. სასამართლო იღებს შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას, თუ მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და შვილად აყვანილ ბავშვს შორის წარმოიშობა ისეთივე ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და შვილს შორის.

8. 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვს უფლება აქვს, თავისი თანხმობის საფუძველზე დაესწროს სასამართლო სხდომას, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მის საუკეთესო ინტერესებს. 10 წლამდე ასაკის ბავშვის სასამართლო სხდომაზე დასწრების საკითხს წყვეტს სასამართლო ბავშვის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით.

9. სასამართლოს უფლება აქვს, შვილად აყვანის საქმის მონაწილეებს დაატოვებინოს სასამართლო სხდომის დარბაზი შვილად აყვანაზე ბავშვის მიერ თანხმობის განცხადებისას ან ბავშვის მოსაზრებებისა და სურვილების მოსმენისას.

10. შვილად აყვანის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება. მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ ღია სასამართლო სხდომის ჩატარება. თუ მშვილებელი (მშვილებლები) და 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი ვერ თანხმდებიან, სასამართლო სხდომა დახურული იყოს თუ ღია, საკითხს სასამართლო წყვეტს.

11. აკრძალულია ბავშვის შვილად აყვანა მშვილებლების სასამართლო სხდომაზე დასწრების გარეშე. საპატიო მიზეზის არსებობისას სასამართლო სხდომა შეიძლება ჩატარდეს ერთ-ერთი მშვილებლის მონაწილეობით.

12. შვილად აყვანისას გასაშვილებელი ბავშვის ინტერესებს სასამართლოში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირი იცავს.

13. ბავშვის უცხო ქვეყანაში შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე აკრძალულია ბავშვის მიმღებ სახელმწიფოში განთავსება ან ამ სახელმწიფოში გამგზავრება.

14. შვილად აყვანა არ შეიძლება რაიმე პირობით, ვადის მითითებით ან წარმომადგენლის მეშვეობით. შვილად აყვანის დროს მშვილებელს (მშვილებლებს) უფლება აქვს (აქვთ), ისარგებლოს (ისარგებლონ) ადვოკატის ან სხვა უფლებამოსილი პირის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იურიდიული მომსახურებით, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეს უფლება აქვს, ისარგებლოს კომპეტენტური ორგანოს, მისი არარსებობის შემთხვევაში კი – სხვა შესაბამისი აკრედიტებული იურიდიული პირის მომსახურებით.

15. სასამართლო ვალდებულია შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გაუგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილების მიღების ადგილის მიხედვით და სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს, ხოლო ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და ცენტრალურ ორგანოს.

16. შვილად აყვანის (გაშვილების) პროცედურის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, მაგრამ არაუგვიანეს შვილად აყვანის (გაშვილების) საქმეზე სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა, მშობელს (მშობლებს) ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თანხმობის არსებობისას, მშვილებელს (მშვილებლებს) და გასაშვილებელ ბავშვს, თუ იგი 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკისაა, 10 წლამდე ასაკის გასაშვილებელ ბავშვს სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით შეუძლია (შეუძლიათ) უარი თქვას (თქვან) შვილად აყვანაზე (გაშვილებაზე).

17. თუ ბიოლოგიურმა მშობლებმა სააგენტოში შეიტანეს განაცხადი გაშვილებაზე უარის თქმის შესახებ, შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე სააგენტო ატყობინებს სასამართლოს აღნიშნულის თაობაზე და მას განაცხადს უგზავნის.

18. თუ ბიოლოგიურმა მშობლებმა სააგენტოში შეიტანეს განაცხადი გაშვილებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, სააგენტო ატყობინებს ბიოლოგიურ მშობლებს აღნიშნულის თაობაზე, მათთვის მშვილებლის (მშვილებლების) ვინაობის გამხელის გარეშე.

19. სასამართლოს მიერ შვილად აყვანის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ახალი გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს უფლება აქვს, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით შეცვალოს საკუთარი დასკვნა და მოითხოვოს სასამართლო პროცესის შეჩერება.

20. თუ სასამართლომ არ მიიღო შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება, ბავშვს სხვა მშვილებელს (მშვილებლებს) შესთავაზებენ. შვილად აყვანაზე სასამართლოს მიერ უარის თქმის მიზეზის გათვალისწინებით, სააგენტო უფლებამოსილია განიხილოს მშვილებლის (მშვილებლების) რეგისტრაციის გაუქმების საკითხი.

მუხლი 62. სამოქალაქო აქტებში ცვლილებების შეტანა

1. მშვილებლის (მშვილებლების) მოთხოვნით, კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის მოტივით, ბავშვს შეიძლება შეეცვალოს სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების ადგილი და დაბადების თარიღი (დაბადების თვის ფარგლებში).

2. ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში მშვილებელი (მშვილებლები) მიეთითება (მიეთითებიან) შვილად აყვანილი ბავშვის მშობლად (მშობლებად).

3. 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის სახელის, გვარის, პირადი ნომრის, დაბადების ადგილისა და დაბადების თარიღის შეცვლისას სასამართლო ითვალისწინებს ბავშვის აზრს, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4. 10 წლამდე ასაკის ბავშვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირადი მონაცემების შეცვლისას სასამართლო მხედველობაში იღებს მის აზრს ბავშვის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული პირადი მონაცემი იცვლება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 63. შვილად აყვანის სამართლებრივი შედეგები

1. შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ნაშვილები კარგავს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს და თავისუფლდება მოვალეობებისგან თავისი ბიოლოგიური მშობლისა (ბიოლოგიური მშობლებისა) და წარმოშობით ნათესავების მიმართ.

2. შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მეუღლეების მიერ ბავშვის შვილად აყვანისას ან ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლის შვილის შვილად აყვანისას ნაშვილები იძენს მეუღლეთა ქორწინების საერთო შვილის სამართლებრივ მდგომარეობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მშობლისა და შვილისთვის დადგენილი უფლებებისა და მოვალეობების შესაბამისად.

3. ნაშვილები და მისი შთამომავლობა მშვილებლისა და მის ნათესავთა მიმართ ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებებითა და მოვალეობებით უთანაბრდებიან შთამომავლობით ნათესავებს, ხოლო მშვილებელი და მისი ნათესავები – ნაშვილებსა და მის შთამომავლობას.

4. საერთაშორისო შვილად აყვანის შემთხვევაში, როდესაც წარმოშობის სახელმწიფოში განხორციელებული შვილად აყვანის შედეგი არ არის ბავშვსა და მის ბიოლოგიურ მშობლებს შორის ბავშვის გაშვილებამდე არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა, შვილად აყვანა შეიძლება ჩაითვალოს ზემოაღნიშნული შედეგის მქონედ, თუ:

ა) საქართველოს სასამართლომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება;

ბ) ბავშვის ყველა კანონიერმა წარმომადგენელმა განაცხადა თანხმობა მის გაშვილებასა და ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობაზე.

5. საქართველოში მუდმივად მცხოვრები ბავშვის უცხო ქვეყანაში შვილად აყვანის შემთხვევაში იგი თავის ბიოლოგიურ მშობლებთან (ბიოლოგიურ მშობელთან) სამართლებრივ ურთიერთობას წყვეტს.

მუხლი 64. შვილად აყვანის შესახებ ინფორმაციის შენახვა

1. საქართველოს უფლებამოსილი ორგანოები უზრუნველყოფენ შვილად აყვანის შესახებ ინფორმაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შენახვას.

2. ნებისმიერი პირი, რომლისთვისაც სამსახურებრივად ან არასამსახურებრივად ცნობილი გახდა ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია, ვალდებულია არ გაამჟღავნოს ის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 65. შვილად აყვანის საიდუმლოობა

1. შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მოსამართლე, რომელმაც მიიღო შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება, ბავშვის ბიოლოგიური მშობელი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს თანამშრომელი, შვილად აყვანის პროცედურაში მონაწილე ნებისმიერი პირი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს შვილად აყვანის პროცედურის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე მიღებული ინფორმაცია.

3. სააგენტო უზრუნველყოფს, რომ მშვილებელმა (მშვილებლებმა) ბავშვის შვილად აყვანამდე სათანადო წესის დაცვით მიიღოს (მიიღონ) მისი პირადი მონაცემების შესახებ ინფორმაცია (ინფორმაცია ბავშვის სახელისა და გვარის, დაბადების თარიღისა და ადგილის შესახებ, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე ინფორმაცია მისი ბიოლოგიური მშობლის (ბიოლოგიური მშობლების) ვინაობის თაობაზე).

4. ნაშვილებს შეუძლია მიიღოს თავისი ბიოლოგიური მშობლის (ბიოლოგიური მშობლების) ვინაობის შესახებ ინფორმაცია მშვილებლისა (მშვილებლებისა) და ბიოლოგიური მშობლის (ბიოლოგიური მშობლების) თანხმობით.

5. ნაშვილებს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია გაშვილებამდე არსებული მისი პირადი მონაცემების შესახებ (ინფორმაცია სახელისა და გვარის, დაბადების თარიღისა და ადგილის შესახებ, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)).

6. ნაშვილების განცხადების საფუძველზე სააგენტო მიმართავს შესაბამის ორგანოებს ამ პირის გაშვილების, მისი ბიოლოგიური მშობლის (ბიოლოგიური მშობლების) ვინაობისა და ადგილსამყოფლის დასადგენად. თუ ნაშვილების ბიოლოგიური მშობლის (ბიოლოგიური მშობლების) ვინაობა და ადგილსამყოფელი ვერ დადგინდა, რის გამოც შეუძლებელია მისი (მათი) პოზიციის გარკვევა, სააგენტო დაინტერესებულ პირს აწვდის პირად ინფორმაციას (ინფორმაციას სახელისა და გვარის, დაბადების თარიღისა და ადგილის შესახებ, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

ინფორმაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში)).

7. სააგენტო უფლებამოსილია ბიოლოგიური მშობლის (ბიოლოგიური მშობლების) განცხადების საფუძველზე მიმართოს შესაბამის ორგანოებს მისი (მათი) ბიოლოგიური შვილის მოძიების თაობაზე. თუ დადგინდა, რომ ბიოლოგიური შვილი გაშვილებულია, სააგენტო წყვეტს საქმის წარმოებას.

8. სააგენტო ნაშვილებს არ აწვდის მისი ბიოლოგიური მშობლის (ბიოლოგიური მშობლების) მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს, თუ:

ა) ბიოლოგიური მშობელი (ბიოლოგიური მშობლები) წინააღმდეგია (წინააღმდეგი არიან), რომ ნაშვილებმა მიიღოს აღნიშნული მონაცემები;

ბ) ბავშვის გაშვილების პროცესში მისმა ბიოლოგიურმა მშობელმა (ბიოლოგიურმა მშობლებმა) ნებაყოფლობით განაცხადა (განაცხადეს) უარი იმაზე, რომ ნაშვილებმა ან მშვილებელმა (მშვილებლებმა) მომავალში მიიღოს (მიიღონ) ბიოლოგიური მშობლის (ბიოლოგიური მშობლების) მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. ამ შემთხვევაში სააგენტო არ უკავშირდება ბიოლოგიურ მშობელს (ბიოლოგიურ მშობლებს).

9. ბავშვის ბიოლოგიურ მშობელს (ბიოლოგიურ მშობლებს) უფლება აქვს (აქვთ), ნებისმიერ დროს გამოითხოვოს (გამოითხოვონ) თავისი (თავიანთი) უარი, რათა სურვილის შემთხვევაში ნაშვილებმა ან მშვილებელმა (მშვილებლებმა) მიიღოს (მიიღონ) ბიოლოგიური მშობლის (ბიოლოგიური მშობლების) მაიდენტიფიცირებელი მონაცემები.

10. ამ მუხლით განსაზღვრული თანხმობა სავალდებულო არ არის, თუ ნაშვილების ბიოლოგიური მშობელი (ბიოლოგიური მშობლები) ან მშვილებელი (მშვილებლები) გარდაცვლილია (გარდაცვლილი არიან), გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. ნაშვილების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები მისმა ბიოლოგიურმა მშობელმა (ბიოლოგიურმა მშობლებმა) შეიძლება მიიღოს (მიიღონ), თუ ნაშვილებმა სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ სააგენტოში შეიტანა განცხადება იმის თაობაზე, რომ ბიოლოგიური მშობლისთვის (ბიოლოგიური მშობლებისთვის) ხელმისაწვდომი იყოს მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემები.

თავი VI

შვილად აყვანის გაუქმება, შვილად აყვანის ბათილად ცნობა

მუხლი 66. შვილად აყვანის გაუქმება

1. ბავშვის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე მისი შვილად აყვანა შეიძლება გაუქმდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) თუ მშვილებელი (მშვილებლები) არ ასრულებს (არ ასრულებენ) მისთვის (მათთვის) დაკისრებულ მშობლის მოვალეობებს;

ბ) მშვილებლის (მშვილებლების) მოთხოვნის შემთხვევაში, როდესაც მშვილებლის (მშვილებლების) და ნაშვილების თანაცხოვრება შეუძლებელია;

გ) თუ ამას ითხოვს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნაშვილების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

2. შვილად აყვანის გაუქმების საქმის სასამართლო განხილვაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობა სავალდებულოა.

3. სასამართლო შვილად აყვანას გააუქმებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ეს შეესაბამება ნაშვილების საუკეთესო ინტერესებს. სასამართლო ითვალისწინებს ბავშვის მშვილებლის ოჯახსა მშვილებელთან ყოფნის ხანგრძლივობას.

4. თუ ნაშვილები 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკისაა, შვილად აყვანის გაუქმება დასაშვებია მხოლოდ

მისი თანხმობით. 10 წლამდე ასაკის ნაშვილების შემთხვევაში სასამართლო შვილად აყვანის გაუქმების პროცესისას მხედველობაში იღებს ნაშვილების აზრს მისი ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით.

5. აკრძალულია შვილად აყვანის გაუქმება ნაშვილების მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შვილად აყვანის გაუქმებაზე თანხმობას აცხადებს (აცხადებენ) მშვილებელი (მშვილებლები), ნაშვილები და მისი ბიოლოგიური მშობელი (ბიოლოგიური მშობლები).

6. თუ უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები ბავშვის საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირების (პირის) მიერ შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს სასამართლომ მიიღო, ეს შვილად აყვანა შეიძლება გაუქმდეს ამ მუხლის პირველი–მე-5 პუნქტების შესაბამისად.

მუხლი 67. შვილად აყვანის ბათილად ცნობა

1. შვილად აყვანა შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი:

ა) თუ შვილად აყვანა საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით განხორციელდა;

ბ) თუ შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება ყალბ დოკუმენტებს ეფუძნება;

გ) თუ შვილად აყვანა ფიქციურია.

2. სასამართლო შვილად აყვანას ბათილად ცნობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ეს შეესაბამება ნაშვილების საუკეთესო ინტერესებს. სასამართლო ითვალისწინებს ბავშვის მშვილებლის ოჯახში/მშვილებელთან ყოფნის ხანგრძლივობას.

3. შვილად აყვანის ბათილად ცნობის საქმის სასამართლო განხილვაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობა სავალდებულოა.

4. თუ ნაშვილები 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკისაა, შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა დასაშვებია მხოლოდ მისი თანხმობით. 10 წლამდე ასაკის ნაშვილების შემთხვევაში სასამართლო შვილად აყვანის ბათილად ცნობის პროცესისას მხედველობაში იღებს მის აზრს ნაშვილების ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით.

5. თუ უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები ბავშვის საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირების (პირის) მიერ შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს სასამართლომ მიიღო, ეს გადაწყვეტილება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი ამ მუხლის პირველი–მე-4 პუნქტების შესაბამისად.

მუხლი 68. შვილად აყვანის გაუქმების ან შვილად აყვანის ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლებამოსილების მქონე პირი

1. შვილად აყვანის გაუქმების მოთხოვნით განცხადების სასამართლოში წარდგენის უფლება აქვს (აქვთ):

ა) ნაშვილების ბიოლოგიურ მშობელს (ბიოლოგიურ მშობლებს);

ბ) მშვილებელს (მშვილებლებს);

გ) ნაშვილებს – საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, თუ ეს აუცილებელია ნაშვილების საუკეთესო ინტერესების დასაცავად.

2. შვილად აყვანის ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვს იმ პირს, რომლის უფლებაც დაირღვა შვილად აყვანით.

3. ნაშვილების ბიოლოგიურ მშობელს (ბიოლოგიურ მშობლებს) უფლება აქვს (აქვთ), მოითხოვოს (მოითხოვონ) შვილად აყვანის გაუქმება/შვილად აყვანის ბათილად ცნობა იმ დღიდან 2 თვის განმავლობაში, როდესაც მისთვის (მათთვის) ცნობილი გახდა შვილად აყვანის გაუქმების/შვილად აყვანის ბათილად ცნობის საფუძველი.

4. პირმა, რომელსაც მიაჩნია, რომ შვილად აყვანით ილახება ბავშვის საუკეთესო ინტერესები, ამის თაობაზე უნდა აცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. აღნიშნული ორგანო წყვეტს შვილად აყვანის გაუქმების მოთხოვნით განცხადების სასამართლოში წარდგენის საკითხს.

5. შვილად აყვანის გაუქმების მოთხოვნით განცხადება წარედგინება სასამართლოს მშვილებლის (მშვილებლების) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

6. თუ მოსარჩელე არის ნაშვილების ბიოლოგიური მშობელი (ბიოლოგიური მშობლები) და მისთვის (მათთვის) უცნობია მშვილებლის (მშვილებლების) ვინაობა, შვილად აყვანის გაუქმების მოთხოვნით განცხადება წარედგინება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების ადგილის მიხედვით.

7. შვილად აყვანის გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შემთხვევაში საქმე საერთო სასარჩელო წარმოების წესით განიხილება. საქმის განხილვაში მოპასუხედ მშვილებელი (მშვილებლები) უნდა ჩაებას (ჩაებან).

მუხლი 69. შვილად აყვანის გაუქმების ან შვილად აყვანის ბათილად ცნობის შედეგები

1. შვილად აყვანა გაუქმებულია შვილად აყვანის გაუქმების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

2. შვილად აყვანა ბათილია შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

3. სასამართლო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება შვილად აყვანის გაუქმების/შვილად აყვანის ბათილად ცნობის შესახებ, ვალდებულია ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გაუგზავნოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს შვილად აყვანის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

4. შვილად აყვანის გაუქმებისას/შვილად აყვანის ბათილად ცნობისას ნაშვილებსა და მშვილებელს (მშვილებლებს), აგრეთვე მათ ნათესავებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობები წყდება. შვილად აყვანის გაუქმების/შვილად აყვანის ბათილად ცნობის შედეგად შვილსა და ბიოლოგიურ მშობელს (ბიოლოგიურ მშობლებს) შორის სამართლებრივი ურთიერთობის აღდგენის საკითხს სასამართლო წყვეტს.

5. თუ შვილად აყვანა მშვილებლისთვის (მშვილებლებისთვის) დაკისრებული მშობლის მოვალეობების შეუსრულებლობის გამო გაუქმდა, ბავშვს მშვილებლისგან (მშვილებლებისგან) ალიმენტის მიღების უფლება უნარჩუნდება.

6. შვილად აყვანის გაუქმებისას/შვილად აყვანის ბათილად ცნობისას სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს შვილად აყვანისას ნაშვილებისათვის ამ კანონის 62-ე მუხლით გათვალისწინებული პირადი მონაცემის (მონაცემების) (სახელი და გვარი, პირადი ნომერი, დაბადების ადგილი, დაბადების თარიღი) ბათილად ცნობის ან/და შენარჩუნების/აღდგენის საკითხი. სასამართლომ ასევე უნდა გადაწყვიტოს შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვის უზრუნველსაყოფად ნაშვილების მიმართ შედგენილი დაბადების სამოქალაქო აქტის ახალი ჩანაწერის ძალაში დატოვების ან ბათილად ცნობის საკითხი, ხოლო დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობის შემთხვევაში მან უნდა მიუთითოს დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ის მონაცემები, რომლებიც უნდა ჩაითვალოს ნამდვილად შვილად აყვანის გაუქმებისას/შვილად აყვანის ბათილად ცნობისას.

7. თუ ბავშვი 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკისაა, ამ მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო მხედველობაში იღებს მის აზრს. 10 წლამდე ასაკის ბავშვის შემთხვევაში სასამართლო მხედველობაში იღებს მის აზრს ბავშვის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით.

8. შვილად აყვანის გაუქმების/შვილად აყვანის ბათილად ცნობის შემდეგ ბავშვის შემდგომი განთავსების საკითხს წყვეტს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

თავი VII

მინდობით აღზრდა

მუხლი 70. მინდობით აღზრდას დაქვემდებარებული პირი

1. მინდობით აღზრდას ექვემდებარება 18 წლამდე ასაკის პირი:

ა) რომელიც არის ობოლი;

ბ) რომლის მშობელი (მშობლები) სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა;

გ) რომლის მშობელს (მშობლებს) შეეზღუდა (შეეზღუდათ), შეუჩერდა (შეუჩერდათ) ან ჩამოერთვა (ჩამოერთვათ) მშობლის უფლებები.

2. მინდობით აღსაზრდელს, რომელიც მინდობით აღზრდის მიზნით განთავსებული იყო 18 წლის ასაკის მიღწევისას, შეუსრულდა 18 წელი და არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის მოსწავლე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, შეუძლია მინდობით აღზრდის მიზნით განთავსებული იყოს სწავლის დასრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 21 წლის ასაკის მიღწევისა.

3. მინდობით აღზრდის მიზნით შეიძლება ერთდროულად განთავსდნენ 18 წლამდე ასაკის პირი და მისი შვილი.

4. მინდობით აღზრდას დაქვემდებარებულ პირთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 71. მინდობით აღმზრდელი

მინდობით აღმზრდელი შეიძლება იყოს საქართველოში მუდმივად მცხოვრები, სრულწლოვანი პირი, გარდა:

ა) იმ პირისა, რომელიც სასამართლომ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო;

ბ) იმ პირისა, რომელსაც შეზღუდული, შეჩერებული ან ჩამორთმეული აქვს მშობლის ან მეურვის/ მზრუნველის უფლებები კანონით განსაზღვრულ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო;

გ) იმ პირისა, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის (მინისტრის მიერ დამტკიცებული დაავადებათა ნუსხის მიხედვით) გამო არ შეუძლია ბავშვის აღზრდა;

დ) იმ პირისა, რომელსაც ან რომლის ოჯახის წევრსაც სასამართლომ მსჯავრი დასდო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის და ნასამართლობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) მინდობით აღსაზრდელის მშობლისა და მეურვისა/მზრუნველისა, რომლებსაც მისი რჩენის ვალდებულება აკისრიათ;

ვ) იმ პირისა, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობითა და სახელმწიფოსა და მინდობით აღმზრდელს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო ჩამოერთვა მინდობით აღსაზრდელი;

ზ) იმ პირისა, რომლის ოჯახის სოციალური სტატუსი შეფასებულია დადგენილი წესით და მისი სარეიტინგო ქულა დარეგისტრირების მომენტისთვის ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ

დადგენილ ზღვრულ ქულაზე;

თ) იმ პირისა, რომელსაც სასამართლომ მსჯავრი დასდო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXIV თავით გათვალისწინებული დანაშაულისთვის და ნასამართლობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა ამ მუხლის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისა, როდესაც პირი არ შეიძლება იყოს მინდობით აღმზრდელი, მიუხედავად იმისა, მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს თუ არა ნასამართლობა;

ი) იმ პირისა, რომელიც ნასამართლევია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 112-ე მუხლებით, 126-ე მუხლის 1^1 ნაწილითა და მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 126^1 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 137-ე, 138-ე, 139-ე, 140-ე, 141-ე, 142^2, 143^1, 143^2, 144^1, 144^2, 144^3, 171-ე, 172-ე, 172^1, 253-ე, 255^1 და 255^2 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, მიუხედავად იმისა, მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს თუ არა ნასამართლობა.

მუხლი 72. მინდობით აღმზრდელის რეგისტრაცია

1. ბავშვის მინდობით აღზრდის (მათ შორის, გადაუდებელი მინდობით აღზრდის) მსურველმა საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა პირმა (პირებმა) უნდა მიმართოს (მიმართონ) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თავისი (თავიანთი) ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. მინდობით აღმზრდელის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო სოციალური მუშაკის მიერ მინდობით აღზრდის მსურველი პირის შეფასების საფუძველზე.

3. მინდობით აღმზრდელის რეგისტრაციისას ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შეფასებასთან ერთად აუცილებელია მინდობით აღზრდის სავალდებულო მოსამზადებელი კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის – სერტიფიკატის წარდგენა.

მუხლი 73. დასკვნის მომზადება და მინდობით აღზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება

1. მინდობით აღზრდის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის, მისი ბიოლოგიური ოჯახის საჭიროებებისა და მინდობით აღმზრდელის შესაძლებლობების შეფასებისა და მომზადებული დასკვნის საფუძველზე, ხოლო გადაუდებელი მინდობით აღზრდის შემთხვევაში – გადაუდებელი რეაგირების ოქმის საფუძველზე.

2. მინდობით აღზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:

ა) გათვალისწინებული უნდა იქნეს მინდობით აღზრდის მსურველი პირის სურვილი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, ასაკთან, სქესთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით;

ბ) შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბავშვის მისთვის ახლობელ ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ გარემოში აღზრდა;

გ) მინდობით აღმზრდელის ოჯახში ბიოლოგიური შვილებისა და მინდობით აღსაზრდელების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხს. გამონაკლისი დაიშვება მინდობით აღსაზრდელი დედმამიშვილების ერთად განთავსებისას;

დ) 10 წლამდე ბავშვის (ბავშვის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით), 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის მინდობით აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, გარდა ბავშვის გადაუდებელ მინდობით აღზრდის მიზნით განთავსებისა;

ე) დაუშვებელია დედმამიშვილების (და-ძმის, დების ან/და ძმების) დაშორება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეესაბამება მათ საუკეთესო ინტერესებს;

ვ) მინდობით აღმზრდელსა და მინდობით აღსაზრდელს შორის ასაკობრივი სხვაობა არ უნდა იყოს 16 წელზე ნაკლები.

3. მინდობით აღზრდის პროცედურები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 74. ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულება

1. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მინდობით აღმზრდელთან დებს ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულებას.

2. ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ნებისმიერი ვადით (გარდა გადაუდებელი მინდობით აღზრდისა), მინდობით აღსაზრდელის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე. აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს მინდობით აღზრდის მიზნით განთავსებული პირის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში/სკოლაში, პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დასრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 21 წლის ასაკის მიღწევისა. ბავშვის გადაუდებელი მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს არაუმეტეს 90 კალენდარული დღის ვადით.

3. ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს:

ა) მინდობით აღსაზრდელზე ზრუნვისა და მისი აღზრდის პირობებს;

ბ) მინდობით აღმზრდელის უფლებებსა და მოვალეობებს;

გ) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებებსა და მოვალეობებს;

დ) მინდობით აღსაზრდელის უფლებებსა და მოვალეობებს;

ე) მხარეთა პასუხისმგებლობებს;

ვ) ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს.

4. ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიტანება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 75. მინდობით აღზრდის ანაზღაურება

1. მინდობით აღზრდის ხარჯები იფარება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. აღნიშნული ხარჯები მოიცავს მინდობით აღსაზრდელის საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელ ხარჯსა და მინდობით აღმზრდელის სოციალურ დახმარებას.

2. მინდობით აღზრდის ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

3. მინდობით აღმზრდელს მინდობით აღსაზრდელის მინდობით აღზრდა ეთვლება შრომით სტაჟში.

მუხლი 76. მინდობით აღმზრდელის უფლებები და მოვალეობები

მინდობით აღმზრდელს მინდობით აღსაზრდელის მიმართ აკისრია შემდეგი მოვალეობები:

ა) იზრუნოს მინდობით აღსაზრდელზე მისი ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად;

ბ) მინდობით აღსაზრდელს შეუქმნას კეთილსაიმედო ოჯახური გარემო;

გ) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დაუყოვნებლივ აცნობოს მინდობით აღსაზრდელისათვის საზიანო პირობებისა და გარემოს შექმნის შესახებ;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხელი შეუწყოს მინდობით აღსაზრდელის მის კანონიერ წარმომადგენელთან და სხვა ნათესავებთან ურთიერთობას, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს;

ე) იცხოვროს მინდობით აღსაზრდელთან ერთად;

ვ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებები და შეასრულოს სხვა მოვალეობები.

მუხლი 77. მინდობით აღსაზრდელის უფლებები მინდობით აღმზრდელის ოჯახში

1. მინდობით აღსაზრდელი სარგებლობს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი ბავშვის ყველა უფლებით.

2. მინდობით აღმზრდელი უზრუნველყოფს მინდობით აღსაზრდელის მონაწილეობას მინდობით აღსაზრდელთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში, მისი ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით.

3. მინდობით აღზრდა არ ზღუდავს მინდობით აღსაზრდელის უფლებებს მისი ბიოლოგიური მშობლისა (ბიოლოგიური მშობლებისა) და წარმოშობით ნათესავების მიმართ.

თავი VIII

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 78. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები

1. ამ კანონის ამოქმედებამდე რეესტრში მშვილებლებად რეგისტრირებული პირები ვალდებული არიან, ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში მიმართონ მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს თავიანთი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და წერილობით დაადასტურონ შვილად აყვანის სურვილი, განაცხადონ თანხმობა შვილად აყვანის სავალდებულო მოსამზადებელი კურსის გავლაზე და წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტი ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის დაკმაყოფილების დასადასტურებლად. ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მშვილებლების რეესტრში აღრიცხვიდან მოხსნას.

2. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო ვალდებულია ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში შეატყობინოს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვალდებულებათა შესახებ მშვილებლებს მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რეესტრში აღრიცხვის ან/და რეგისტრაციის მისამართზე.

3. 2018 წლის 1 იანვრამდე რეესტრში მშვილებლებად რეგისტრირებული პირები ვალდებული არიან, გაიარონ და დაასრულონ შვილად აყვანის სავალდებულო მოსამზადებელი კურსი მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადაში. ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს მშვილებლების რეესტრში აღრიცხვიდან მოხსნას.

4. 2018 წლის 1 იანვრამდე აღრიცხვაზე მყოფი მინდობით აღზრდის მსურველი პირი ვალდებულია გაიაროს მინდობით აღზრდის სავალდებულო მოსამზადებელი კურსი მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადაში. ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მინდობით აღზრდის მსურველი პირის აღრიცხვიდან მოხსნას.

5. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ ურთიერთობაზე, როდესაც შვილად აყვანის უპირატესი უფლება მშვილებელს (მშვილებლებს) წარმოეშვა (წარმოეშვათ) ან/და გასაშვილებელი ბავშვი მშვილებელს (მშვილებლებს) შესთავაზეს ამ კანონის ამოქმედებამდე.

6. ამ კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე რეესტრში მშვილებლებად რეგისტრირებულ პირებზე.

7. თუ ბავშვი შვილად აყვანის შესახებ განცხადების შეტანამდე მშვილებლის (მშვილებლების) ოჯახში ცხოვრობდა და მშვილებელს (მშვილებლებს) თავის მშობლად (მშობლებად) თვლის, შვილად აყვანა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული შვილად ასაყვანი ბავშვის თანხმობის გარეშე.

მუხლი 79. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გამოსაცემი სამართლებრივი აქტები

1. 2018 წლის 1 იანვრამდე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ამ კანონით განსაზღვრულ ვალდებულებათა შესასრულებლად უზრუნველყოს შესაბამისი სამართლებრივი აქტების შემუშავება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამოცემა, მათ შორის:

ა) შვილად აყვანის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების გამოცემა;

ბ) მინდობით აღზრდის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების გამოცემა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ბრძანებების გამოცემამდე იურიდიულ ძალას ინარჩუნებს შემდეგი სამართლებრივი აქტები:

ა) „შვილად აყვანის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №50/ნ ბრძანება;

ბ) „მშვილებელ/მიმღებ ოჯახად რეგისტრაციის/აღრიცხვის შესახებ“ განაცხადის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 10 აგვისტოს №01-52/ნ ბრძანება;

გ) „მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №51/ნ ბრძანება.

3. ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სოციალური მომსახურების სააგენტომ (მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალურმა ორგანომ) უზრუნველყოს:

ა) შვილად აყვანის, ბავშვის გაშვილების ან ბავშვის მიტოვების მსურველი პირისთვის შესაბამისი კონსულტაციის ფორმის დამტკიცება;

ბ) ბავშვის გაშვილებაზე მშობლის (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის სპეციალური ფორმის დამტკიცება;

გ) მინდობით აღზრდის მსურველი პირის/შვილად აყვანის მსურველი პირის მიერ სავალდებულო მოსამზადებელი კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის – სერტიფიკატის ფორმის დამტკიცება;

დ) გაშვილებაზე უარის თქმის შესახებ განაცხადის ფორმის დამტკიცება;

ე) ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულების ფორმის დამტკიცება;

ვ) საერთაშორისო შვილად აყვანის მოწმობის (სერტიფიკატის) ფორმის დამტკიცება;

ზ) ამ კანონით განსაზღვრულ ვალდებულებათა შესასრულებლად სხვა, შესაბამისი სამართლებრივი აქტების შემუშავება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამოცემა.

მუხლი 80. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად გამოსაცხადებელი ნორმატიული აქტი

1. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №50, 31.12.2009, მუხ. 398).

2. ამ კანონის 78-ე მუხლის მე-7 პუნქტი ძალას კარგავს 2022 წლის 1 ივნისიდან.

მუხლი 81. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა, მე-20 მუხლისა და 72-ე მუხლის მე-3 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი, მე-20 მუხლი და 72-ე მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

4 მაისი 2017 წ.

N746-IIს